ხობის მოამბე

№5 (7018) 31 მარტი, ოთხშაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ათონის მთაზე დაწერილი კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი..

9 მარტს კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში იყო დაბრძანებული, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ მეუფე გრიგოლის ლოცვა-კურთხევით ფოთის საკათედრო ტაძარში გადაბრძანეს. კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც 2007 წელს საგანგებოდ ფოთის საკათედრო ტაძრისთვის დაიწერა, ამ დღიდან თავის მუდმივ ნავსაყუდელს სწორედ ამ დიდებულ ტაძარში დაივანებს. კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი ხობის

ხატი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით დაიწერა ათონის წმიდა მთაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სენაკში სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის „ოდიგიტრიის“ მიხედვით. ხატზე საქართველოს ეკლესიისთვის უმნიშვნელოვანესი წმინდანებია გამოსახული. კოლხეთის ღვთისმშობელი 2007 წლის 1 ნოემბერს ათონის წმინდა მთიდან მღვდელმონაზონმა ეფრემმა და

დედათა მონასტერში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში იყო დაბრძანებული. 9 მარტს ხატის გადმობრძანების წინ ხობის დედათა მონასტერში საზეიმო პარაკლისი მამა ილიამ (ლომაიამ) გადაიხადა. მრევლი გზადაგზა ყვავილებსა და პალმის ტოტებს უფენდა ხატს. უამრავი ადამიანი ლოცულობდა და ცრემლნარევი ღიმილით მიაცილებდა კოლხეთის ღვთისმშობელს ფოთის საკათედრო ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე. ეს დღე დიდებული დღეა თანამედროვე ფოთის ისტორიაში, რადგან შეგახსენებთ, რომ კოლხეთის ღვთისმშობლის

ბერმა ტიმოთემ ჩამოაბრძანეს.

9 მარტს ხობიდან გადაბრძანებულ კოლხეთის ღვთისმშობლის ხატს მრევლი ფოთში ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძართან შეეგება და საზეიმო მსვლელობა ფოთის საკათედრო ტაძართან დასრულდა.

საზეიმო პარაკლისი ფოთის საკათედრო ტაძარში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტ საბასთან, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტ ანტონთან და ჭყონდიდელ მიტროპოლიტ პეტრესთან ერთად აღავლინა. მეუფეებმა დალოცეს მრევლი და სრულიად საქართველო კოლხეთის ღვთისმშობელს შეავედრეს.

31 მარტი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა

ამაღლებული ცათამდე



ზვიად გამსახურდია–ამაღლებული ცათამდე,
ერის სინდისი და პატიოსნება,
მამულის სული და გული, უკვდავების წყარო ანკარა,
საუკუნოდ გაგრძელებული ღირსეული სიცოცხლე,
მგზნებარე მამულიშვილი და საქართველოს შიშველი სატევარი!

მას განგებამ ეკლიან გზაზე სიარული არგუნა. როგორც იტყვიან, ეკლიან გზაზე სიარული რჩეულთა ხვედრია. ზვიად გამსახურდია კი იყო რჩეულთა შორის რჩეული, ილია მართლის ღირსეული მიმდევარი, მისი დიდებული საქმის ღირსეული გამგრძელებელი.

მისი პიროვნული ბედნიერება იყო საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლისთვისაც მან ყველაფერი გაიღო, თვით საკუთარი სიცოცხლეც კი. იგი გამარჯვებული წავიდა წუთისოფლიდან და მაინც უაღრესად სამწუხარო იყო მისი საბედისწერო სიკვდილი, როცა შეეძლო უთვალავი სიკეთე მოეტანა მამულისთვის.

ზვიად გამსახურდია ბედნიერია იმით, რომ მან დატოვა დიდი სიყვარული, ნათელი კვალი, რომელიც არასოდეს წაიშლება და ტოვებს დაუვიწყარ მაგალითს ჭეშმარიტი მამულიშვილობისა და უაღრესად დიდი კაცობისა, მისი ხანმოკლე ცხოვრება ამის აშკარა დადასტურებაა, ზვიადი ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, რაც ჭეშმარიტებაა, რაც პატიოსნებაა, რაც მართალია, წმინდაა, სათნოა და ყოვლად სამაგალითო, რისი რეალური ხორცშესხმაც თავად იყო. იგი ქართველ ხალხს უებარი გზნებით უყვარდა. სიცოცხლეშივე იწვევდა მოკრძალებასა და პატივისცემას, იყო ლეგენდარული, ეროვნული გმირის ყველა საუკეთესო თვისებით დაჯილდოებული. მან სკოლის მერხიდანვე ააფრიალა თავისუფლების დროშა. დაბადებით, ბუნებით, მოწოდებით იყო გმირი, რაინდი. ზვიადი წინამძღოლად, მეთაურად, სარდლად გაეჩინა განგებას.

როდესაც დიდი ილიას მიერ დაწყებული მოძრაობა დაუნდობლად ჩაკლეს მე–20 საუკუნეში, ქართული ეროვნული სული ამოშანთეს ადამიანთა გულებიდან, თითქმის დაივიწყეს მშობლიური ენა, მშობლიური მიწა-წყალი და საქართველოში ჩამოწვა მარადიული წყვდიადი, ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავასთან ერთად, ააგიზგიზა სამშობლოს სიყვარულის ნამდვილი კოცონი. მაგრამ, ვაგლახ, რომ საქართველოს დაუძინარმა მტრებმა არ დააცალეს ამ ცეცხლის ბოლომდე ბრიალი.

ბოლოს მინდა ეს სტრიქონები დავამთავრო ორიოდე მცირედი სტროფით:

ამაღლებული ერისთვის,
ხარ საფიცარი ღმერთი,
ყმაწვილობიდან გტანჯავდა
შენ საქართველოს ბედი!
****
ჩვენთვის ხარ დიდი ილია,
ტანჯულთა გულის
მთაფლავი,
ჩვენს გულში ამოჭრილია
შენი ღვთიური საფლავი!
**** * ****
საქართველოს მოუშუშე
იარა და სატკივარი,
შენ ხარ ჩვენი ნათლის
სვეტი
და შიშველი სატევარიც.
**** * ****
უკუნეთს დაშნა დაჰკარი
და გაგვინათე წყვდიადი,
ზეცის თავანშიც კიაფობს
შენი სახელი ზვი–ა–დი!

რევაზ კორტავა

პრემიერმა სამიტის მონაწილეებს ოკუპირებული რეგიონებიდან მომდინარე საფრთხეებზე რეაგირებისაკენ მოუწოდა

„ყველაზე მგრძნობიარე საკითხია ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილის, მათ შორის, სტრატეგიული მნიშვნელობის შავი ზღვისპირეთის ოკუპაციიდან გამომდინარე საფრთხე. ისევე, როგორც სხვა რეგიონებში, სადაც საერთაშორისო კონტროლის მექანიზმები ან საერთოდ არ არსებობს, ან ძალიან სუსტია, აქაც კონტრაბანდის საფრთხე საკმაოდ რეალურია. ეს საკითხი პრობლემატურია არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნებისთვის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც ზოგადად. მოგიწოდებთ, შემომიერთდეთ, რათა სათანადო ყურადღება დავუთმოთ ამ საკითხს“,-მიმართა ირაკლი ღარიბაშილმა ბირთვული უსაფრთხოების სამიტის მონაწილეებს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ოკუპირებულ რეგიონებში, სადაც საერთაშორისო კონტროლის მექანიზმები სუსტია, კონტრაბანდის საშიშროება არსებობს, რაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

სწორედ ამიტომ, პრემიერი მიიჩნევს, რომ ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, თვითკმაყოფილება გაუმართლებელია.

ბირთვული უსაფრთხოების მესამე სამიტს ესწრებოდნენ 53 სახელმწიფოს პირველი პირები და მთავრობის მეთაურები, ასევე ოთხი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ბირთვული უსაფრთხოების სამიტს 5 ათასზე მეტი დელეგატი ჰყავს, მათ შორის აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, ასევე ევროპის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპუი და ევროკომისიის პრეზიდენტი მანუელ ბაროზო. ბირთვული უსაფრთხოების მესამე სამიტს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს 6-კაციანი დელეგაცია ესწრებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილი შვეიცარიის პრეზიდენტ დიდიერ ბურკჰალტერს შეხვდა

ციურიხში შვეიცარიულ-ქართული ბიზნეს-ფორუმი გაიმართა, რომლის ორგანიზატორიც ციურიხის საინვესტიციო საბჭოა.

ამის შესახებ ჰაგაში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტ დიდიერ ბურკჰალტერთან გამართული შეხვედრის დროს აღინიშნა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით კი, ქართული მხარე გამოთქვამს მზადყოფნას უახლოეს მომავალში მოეწეროს ხელი ინვესტიციების შესახებ ორმხრივ ხელშეკრულებას.

მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების საკითხები განიხილეს, ისაუბრეს თანამშრომლობაზე, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ისე საგანმანათლებლო-კულტურულ და უსაფრთხოების სფეროებში.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, დაწყებულია აქტიური კონსულტაციები შვეიცარიულ მხარესთან რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების კუთხით.

შვეიცარიის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, 2009 წლიდან შვეიცარიას აქვს განსაკუთრებული მანდატი საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების საკითხებში და ასრულებს მედიატორის ფუნქციებს. მოსკოვში შვეიცარიის საელჩოში ფუნქციონირებს საქართველოს ინტერესთა სექცია, ხოლო თბილისში შვეიცარიის საელჩოში - რუსეთის ინტერესთა სექცია.

დავით უსუფაშვილი: ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისათვის თვეები კი არა, საათებიც მნიშვნელოვანია

ევროკავშირმა საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი გადმოწია. საქართველო ასოცირების ხელშეკრულებას ხელს ივნისში მოაწერს.

„უკრაინის მოვლენებმა აჩვენა, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის თვეები კი არა, საათებიც კი მნიშვნელოვანია“,- ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ბრიუსელში განაცხადა, სადაც ის ევროკომისარს გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულეს შეხვდა.

„სასიხარულოა, რომ დღეს ბრიუსელიდან ვატყობინებთ ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ ხელმოწერის შესაძლო თარიღმა კიდევ უფრო აქეთ გადმოიწია და დღეს საუბარია ივნისზე. შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა–რა მნიშვნელობა აქვს ივნისს, თუ ივლისს, მაგრამ ამაზე პასუხი უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა მოგვცა, რომ არა თუ თვეებში, არამედ დღეებსა და საათებში წყდებოდა ძალიან ბევრი რამ უკრაინელი ხალხისთვის“,–განაცხადა უსუფაშვილმა.

უსუფაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ჰერმან ვან რომპეის, ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენსა და სხვა მაღალჩინოსნებს შეხვდება.

ასოცირების ხელშეკრულების დაჩქარებას მიესალმება საქართველოს პრემიერ მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილიც. მისი თქმით, ევროკავშირის ეს გადაწყვეტილება, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ტბილისში ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ საერთაშორისო კონფერენცია იმართება

ღონისძიება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით იმართება.

მასში საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ევროკავშირის წევრი და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნების მაღალი რანგის ოფიციალური პირები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, ბიზნეს წრეებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. კონფერენციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გახსნის. კონფერენცია ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებას, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით მიღებული შესაძლებლობების განხილვას, საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ვილნიუსის სამიტის შემდგომ ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განხილვას, ბიზნეს კონტაქტების გაფართოებასა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანთან

საქართველოს მაისში საფრანგეთის პრეზიდენტი ეწვევა - ფრანსუა ოლანდისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ჰაგაში, ბირთვული უსაფრთხოების სამიტის ფარგლებში გაიმართა. საქართველოს მთავრობის მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა საფრანგეთის პრეზიდენტის საქართველოში დაგეგმილი ვიზიტის გამო და აღნიშნა, რომ ეს კიდევ ერთი დადასტურებაა ორი ქვეყნის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების.

შეხვედრაზე მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს. აღინიშნა, რომ საქართველოსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობა საკმაოდ აქტიური და მჭიდროა, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესებში საფრანგეთის როლზე. ფრანგული მხარის სურვილია, უფრო აქტიურად ჩაერთოს საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით, რაც უკვე გამოიხატა ვილნიუსის სამიტზე ერთობლივი დეკლარაციის მიღებისას.

პრემიერმა ფრანსუა ოლანდს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესებისა და არსებული ბიზნეს-გარემოს შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. გამოითქვა ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, 2014 წლისათვის საქართველოში საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) ოფისის გახსნა იგეგმება.

ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის პრეზიდენტს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის.

თვითმმართველობის არჩევნების წინ

„მჭერა, ხალხი ჯაჯაკეთებს სწორ არჩევანს“

ინტერვიუ კოალიცია მ.გ.პ. თავმჯდომარე ვარაზ გაბედავასთან

როგორც მოგეხსენებათ კოალიცია არის ერთნაირი შეხედულებების მქონე ორგანიზაციების გაერთიანება, რომლებიც თანხმდებიან ითანამშრომლონ მრავალი საკითხის მხარდასაჭერად. როგორ მიგაჩნიათ, რა არის წარმატებული კოალიციების მახასიათებლები.

–კოალიციური მუშაობა, რომ წარმატებული იყოს ამისთვის საჭიროა კოალიციაში შემავალი სუბიექტების ერთმანეთისადმი ნდობა, კონსესუსის მიღწევის უნარი, მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის თანაბრად განაწილება და ყველასთვის მისაღები თამაშის წესების დადგენა.

კონკრეტულად ხობში, რომელი პოლიტიკური პარტიები შედის კოალიციის შემადგენლობაში, არის თუ არა კოალიცია ერთიანი, ხომ არ ისახება მისი დაშლის საფრთხე, რა გაძლევთ ამის (გამოთქმული აზრის) საფუძველს.

–ხობში კოალიციაში შემავალი პარტიებიდან („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”, რესპუბლიკური პარტია, კონსერვატორული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, თავისუფალი დემოკრატები და ეროვნული ფორუმი) წარმოდგენილია ყველა, გარდა „ეროვნული ფორუმისა“. კოალიცია არის ერთიანი და დაშლის არანაირი საფრთხე არ არსებობს. ამ გაერთიანებამ ყველაზე მძიმე პერიოდს (2012წელი) და ბევრ გამოწვევებს გაუძლო. ჩაატარა ორი წარმატებული არჩევნები და ერთიანი ძალებით ემზადება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, სადაც კიდევ ერთხელ გამოცდის საკუთარ ძალებს.

როგორც მოგეხსენებათ დღეს საქართველოში ეკონომიკური განვითარების ზრდის მაჩვენებელი არ არის სახარბიელო, აქედან გამომდინარე იგივე მდგომარეობაა რეგიონშიც, იკვლევთ თუ არა რეგიონში არსებულ პრობლემას, რა ტიპის პრობლემებს გამოყოფთ და როგორია თქვენი სტრატეგია მათ გადასაჭრელად.

–საქართველომ პოლიტიკურად ძალიან მძიმე პერიოდი გამოიარა და ქვეყანა დაადგა განვითარების სწორ გზას, რაც აისახა ეკონომიკაშიც. დაიწყო ეკონომიკის ზრდა. მთავარი საფუძველი, რაზედაც უნდა აშენდეს ქვეყნის ეკონომიკა, ჩაყრილია. რაიონში, ისევე როგორც მთელს რესპუბლიკაში, არის დასაქმების, სოციალური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პრობლემები, თუმცა ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მოსახლეობისთვის დიდი შეღავათია სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პროექტები, რაც ითვალისწინებს სოფლის, როგორც ქვეყნის მთავარი ხერხემლის, ფეხზე დაყენებას; ასევე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის კუთხით გატარებული რეფორმები. ხელისუფლებას დიდი ყურადღება აქვს გადატანილი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, რაც მოსახლეობის დასაქმებას და ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამისთვის ხდება დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა, რომლის ადგილზე დაბანდება ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების საწინდარი იქნება. ყველაზე მთავარია ცოდნა გავიღრმავოთ, დავეუფლოთ ახალ ტექნოლოგიებს და დავნერგოთ ისინი. ამაში მხარს გვიჭერს ადგილობრივი ხელისუფლებაც. ამიტომ ჩვენი შრომისმოყვარეობით, მონდომებით, ერთმანეთის გვერდში დგომით და არსებული საშუალებების გამოყენებით უნდა ვეცადოთ განვითარებას.

რა გამოცდილება მიიღეთ წინა ორი არჩევნებისგან, რომ ფიქრობთ, რატომ უნდა მოგცეთ არჩევნებზე ხმა ამომრჩეველმა.

–წინა არჩევნებიდან გამომდინარე, ამომრჩევლის სამოქალაქო ცნობიერება ერთიორად გაიზარდა. ისინი უფრო დაკვირვებულები, კონსტრუქციულები, კონკრეტული პარტიების პროგრამებზე ორიენტირებულები, პრაგმატულები და რაციონალურები გახდნენ, რაც ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამომრჩეველმა რატომ უნდა მოგვცეს ხმა? ხმა უნდა მისცენ ქვეყნის უკეთეს მომავალს და კეთილდღეობას; გაზრდილ პენსიებსა და ხელფასებს, ჯანდაცვაში განხორციელებულ რეფორმებს, სოფლის მეურნეობაში დაწყებულ, განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებს, განათლების სისტემაში დანერგილ სიახლეებს, მომავალში დაგეგმილ პროექტებს, ეკონომიკის ზრდას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დამკვიდრებას, დეპოლიტიზებულ პოლიციას და ა.შ. ყველაფერი ამის შემოქმედი არის „ქართული ოცნების“ ახალი ხელისუფლება, რომელსაც კიდევ ერთხელ სჭირდება მხარდაჭერა და მანდატი, რომ გაგრძელდეს ქვეყნის შენება.

თქვენ ხობისთვის ნაკლებად ცნობადი სახე იყავით, მაგრამ სულ მოკლე ხანში მოიპოვეთ ხალხის ნდობა, ავტორიტეტი და სიყვარული. აქედან გამომდინარე რას გვეტყვით, როგორი უნდა იყოს ლიდერი რა თვისებები უნდა გააჩნდეს მას.

–ლიდერი მოსახლეობის უმრავლესობისთვის უნდა იყოს მისაღები. ამისთვის საჭიროა თვისებების მთელი კრებული: კომუნიკაბელურობა, გულწრფელობა, ანალიზის უნარი, მოქნილობა, წარმოსახვის ძალა, წინასწარგანჭვრეტა, თავშეკავება, გამბედაობა, ხასიათის სიმტკიცე, პრინციპულობა, ზნეობა, თავდაჭერილობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი, ძლიერი ნებისყოფა. ლიდერი აუცილებლად უნდა იყოს განათლებული და კომპეტენტური.

როდის და რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება აქტიურად ჩართულიყავით პოლიტიკურ პროცესებში.

–ჯერ კიდევ 2007 წლიდან ჩართული ვიყავი ამ პროცესებში. იყო 7 ნოემბერი, 2008 წლის აქციები, 2009 წლის კარვების აქცია. ჩემი დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებისადმი იყო უარყოფითი და ჩემი მოქმედებით ვცდილობდი გამომეხატა ეს. 2011 წლიდან ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლით ქართული პოლიტიკური ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა უკეთესობისკენ და ხალხს ცვლილებების იმედი გაუჩნდა. უმრავლესობა ხვდებოდა და მათ შორის მეც, რომ არ შეიძლებოდა ისე ცხოვრება, როგორც მანამდე ცხოვრობდა საქართველო. მეც დავდექი იქ, სიმართლის მხარეს, სადაც საქართველო დადგა.

როგორია თქვენი მიდგომები გენდერული თანასწორობის მიმართ და როგორ ხედავთ სხვაობას მამაკაც ლიდერსა და ქალ ლიდერს შორის.

–ჩემი დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ არის დადებითი. მე ვემხრობი საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალების მაქსიმალურად ჩართვას. მამაკაც ლიდერსა და ქალ ლიდერს შორის განსხვავება, ლიდერობის კუთხით თუ შევხედავთ, ჩემი აზრით არ არის, ქალმა თავისი დიპლომატიურობით შეიძლება მეტსაც მიაღწიოს. ბოლოსდაბოლოს საქართველო ხომ „თამარის“ ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ მე-12-ე საუკუნეში შოთა რუსთაველმა დაწერა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

გააჩნია თუ არა კოალიციას საკანონმდებლო ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის სტრატეგია, კონკრეტულად როგორია იგი.

–ქალთა ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აუცილებელია. ამ კუთხით დისკრიმინაცია მიუღებელია.

რა მოლოდინები გაქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის 15 ივნისის არჩევნებისადმი.

–ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც ა/წ 15 ივნისს გაიმართება, არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. ხალხი ადგილებზე აირჩევს იმ ადამიანებს, რომელსაც აქვს ავტორიტეტი, იცნობს მათ და შეუძლია მიანდოს საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა. ამ არჩევნებით ადგილებზე მოხდება მმართველობითი სტრუქტურების განახლება და კომპეტენტურ ადამიანებთან ერთად უფრო მეტი შემართებით და მონდომებით გაგრძელდება ქვეყნის მშენებლობა. 2014 წლის 15 ივნისს ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ უნდა მისცეს მანდატი „ქართულ ოცნებას“, რომ ქვეყნის მშენებლობა მეტი ენერგიით გაგრძელდეს. ხობს, რაც შეეხება, მე მჯერა ხობელების, რომ ისინი მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას, გააკეთებენ სწორ არჩევანს და როგორც საპრეზიდენტო არჩევნებში, თვითმმართველობის არჩევნებზეც დავდებთ მსგავს და უკეთეს შედეგს, რომელიც განსაზღვრავს ხობის მუნიციპალიტეტის მომავალ განვითარებას.

ესაუბრა მანანა შულაია

„მეამბოხე სული ცხოვრების ყველა ეტაპზე თან დამყვა“....

პროფესიით ჟურნალისტი, 12 წელი ხობის პირველ სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა, უყვარს ბავშვები და მათთან ურთიერთობა დიდ სიხარულს ანიჭებს, ალბათ ამან გადააწყვეტინა ისეთ საპასუხისმგებლო საქმეს შესჭიდებოდა, რასაც მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდა ქვია. 2007 წლიდან ის ხობის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის წინამძღოლია.

კომუნიკაბელური, სიმართლისმოყვარე, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა-ასე ახაიათებენ ქალბატონ თამარ დიდიშვილს თანამშრომლები. საბავშვო ბაღში არსებულ საჭირბოროტო პრობლემებზე,მის პიროვნებაზე, ინტერვიუდან შეიტყობთ.

თამარ, წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი...

–ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ერთი პატარა ნამცეცი, იმ უზარმაზარი მთლიანობისა, რომელსაც სამყარო ქვია. ხანდახან მგონია, რომ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებში ვერ ვეტევი. ალბათ, ამით განვსხვავდები სხვებისგან. პროფესიით ჟურნალისტი ვარ. ჯერ კიდევ სტუდენტობისას „მოვიწამლე“ ამ პროფესიით და როგორც მსახიობისთვის „სცენის მტვერი“ ყველაფერს ნიშნავს, ასევეა ჩემთვისაც. ჟურნალისტური „მეამბოხე სული“ ცხოვრების ყველა ეტაპზე თან დამყვა. ამიტომ ზოგისთვის „ინტრიგან-პროვოკატორი“, ზოგისთვის კი უბრალოდ სიმართლის პირში მთქმელი ვარ. საერთოდ ასეთი გაზრდილი ვარ, „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად!“ თორმეტი წელი ვიმუშავე სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად, ძალიან დიდი გამოცდილება დამიგროვდა.2007 წლიდან კი ხობის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის მთავარი სპეციალისტი ვარ. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

გიფიქრიათ იმაზე, რა არის თქვენი პროფესიული საქმიანობის მთავარი მოტივაცია, ამოჩემებული მიზანი, რასაც ყოველდღიურად მიჰყავხართ სამსახურში?

–უპირველესად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. მიზანი კი, რომელიც მე მამოძრავებს და ყოველდღიურად სამსახურისაკენ მეჩქარება, ერთია-ბაღის აღსაზრდელებს და თანამშრომლებს უკეთესი გარემო შევუქმნა, ვიდრე არის.

როგორი მომზადებული შეხვდა თქვენი ბაღი სასწავლო წელს?

–მიუხედავად იმისა, რომ ბაღი სარემონტოა, ჩვენ ვცდილობთ ჩვენს აღსაზრდელებს სასიამოვნო გარემო დავახვედროთ. ბავშვს ბაღში მოსვლა უნდა უხაროდეს. ბაღში გატარებული თითოეული დღე ზეიმი უნდა იყოს მისთვის. ჩვენი საზრუნავიც ესაა.

როგორც ვიცით გადასახადები ბაღებში გაუქმდა, გამოიწვია თუ არა ამან ბაღში კონტიგენტის მომატება?

–რა თქმა უნდა, კონტიგენტი გაიზარდა, თუმცა ყველა მსურველის ჩარიცხვას მაინც ვერ ვახერხებთ, ორ წლამდე ბავშვებს, ადგილობრივი წესდების გათვალისწინებით ვერ ვიღებთ.

რამდენი ჯგუფი გყავთ?

–სამი ასაკობრივი ჯგუფია. მეტი ჯგუფის გახსნას, რომც გვინდოდეს, მაინც ვერ მოვახერხებთ, რადგან ბაღის შენობის ნახევარი, აფხაზეთიდან დევნილებს უკავიათ.

როგორი ხელმძღვანელი ბრძანდებით და რას გვეტყოდით თქვენს თანამშრომლებზე?

– უმჯობესია ჩემს თანამშრომლებს კითხოთ, ჩემი სუბიექტური აზრით ისეთი ვარ, როგორსაც იმსახურებენ– ჰუმანური, სამართლიანი და პრინციპული. რაც შეეხება კოლექტივს, ჩემი ოჯახის წევრები არიან. მათი ყველა სატკივარი ვიცი და ჩემიც იციან. მეიმედება ისინი, ვგრძნობ მათ მხარდაჭერას. ახალგაზრდა კოლექტივია, ხალისიანი. იმდენად კარგები არიან,რომ ვერცერთს ვერ გამოვყოფ.

ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ადამიანი მასწავლებლად უნდა დაიბადოს?

–არა, ყველაფერი აღზრდაზეა დამოკიდებული! ბავშვი იზრდება უმწეო, მან არაფერი იცის, არაფრის კეთება არ შეუძლია. ბავშვებს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ისინი ბუნებამ დააჯილდოვა სხვადასხვა პოტენციალური შესაძლებლობით. მაგრამ ეს მონაცემები როგორი ფენომენალურიც არ უნდა იყოს, მათი განვითარება შეუძლებელია სწავლების გარეშე. წარმოვიდგინოთ, რომ მთელი სიცოცხლე ვუსმენთ ვიოლინოს, მაგრამ არ ვსწავლობთ მასზე დაკვრას. როგორი გენიალური მუსიკალური მონაცემიც არ უნდა გვქონდეს, მაინც ვერასდროს ვერ შევძლებთ ვიოლინოზე დაკვრას მხოლოდ მისი მოსმენის წყალობით. მასწავლებლობა იდეალური და ღვთიური პროფესიაა. კარგ პედგოგად, რომ ჩამოყალიბდე, კარგი მაგალითის მიმცემი უნდა გყავდეს.

საბავშვო ბაღებში სწავლების მხრივ ამ მოკლე პერიოდში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?

–სწავლების მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტს მართლაც საუკეთესო შედეგები აქვს. ტრენინგები მართლაც, რომ საჭირო და დროული იყო. მაგრამ, კარგი იქნება თუ ამ პროგრამების განსახორციელებლად შესაფერისი პირობებიც იქნება საბავშვო ბაგა-ბაღებში.

>>>>>>> 6

ინტერვიუ

ცნობისათვის:

ირაკლი ბერაიას ხობის მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი იცნობს, ამ ინტერვიუთი მინდა კიდევ უფრო კარგად გაიცნონ ის, როგორც ხელმძღვანელი, განათლებული, ხალხისმოყვარე და ოჯახისმოყვარე ახალგაზრდა.

ირაკლი ბერაია დაიბადა 1975 წლის 2 აგვისტოს. 1992 წელს დაამთავრა ფოთის №5 საშუალო ჰუმანიტარული სკოლა.

1992-98 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სპეციალობით სამართალმცოდნეა.

1998-99 წლებში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა.

1996_2007 წლებში მუშაობდა ხობის რაიონის გამგეობაში იურიდიული განყოფილების გამგედ.

2012 წლის თებერვლიდან ხობის რაიონის რწმუნებულია ქარიატის თემში.

„თუ ღვთისაგან წყალობას ითხოვ, წყალობის გაცემაც უნდა შეგეძლოს...“

ირაკლი, თქვენი პირველი სამსახურებრივი ნაბიჯები კარგად მახსოვს. ხობის გამგეობაში ძალიან მოკრძალებული და აქტიური ახალგაზრდა იყავით, ფიზიკურადაც მშვენიერი. ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის თავკაცი ბრძანდებით, რა არის დღეს თქვენი უპირველესი საზრუნავი?

–პირველ რიგში მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოგილოცოთ გაზაფხულის დღესასწაულები თქვენ და ყველა დედას, ყველა ქალბატონს გისურვებთ ღვთის წყალობასა და ულევ სიხარულს.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, გასული წლის 1 თებერვლიდან ვასრულებ რწმუნებულის მოვალეობას ქარიატის თემში. მუშაობის პირველი დღიდან, რაც შევნიშნე, ეს არის ქარიატელების რბილი ხასიათი. ისინი თავაზიანი, კეთილშობილი, გაწონასწორებული და მშვიდი ხალხია. შრომისმოყვარენი და ძალიან სტუმართმოყვარე. მეც მიყვარს და პატივს ვცემ თითოეულს, ვცდილობ, უყურადღებოდ არ დამრჩეს მათი თუნდაც უმნიშვნელო პრობლემა. ქარიატა დღეს ჩემი საფიქრალი და საზრუნავია.

როგორი და რა სიახლეების მომტანი იყო გასული წელი თქვენს ცხოვრებაში, სოფლისთვის. გაკეთებულმა საქმეებმა კმაყოფილება მოგგვარათ?

–გასულ წელს მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქარიატის თემის ცხოვრებაში. მთავრობის უპრეცედენტო პროგრამა „მცირემიწიან ფერმერთა დახმარებისათვის“ წარმატებით განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში დამუშავდა 200 ჰექტრამდე მიწის ფართობი, მოსახლეობას დაურიგდა 100 000 ლარამდე ღირებულების ნომინალური ბარათები სასოფლო–სამეურნეო საქონლისა და ინვენტარის შესაძენად. სკოლის მოსწავლეებს, სასკოლო წიგნები უფასოდ გადაეცათ. ათეულობით ჩვენმა თანასოფლელმა ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევით ისარგებლა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. კერძოდ, თემის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები ჩაუტარდა, გაკეთდა ახალი ღობე. გამოღმა ქარიატაში სასოფლო გზა შეკეთდა, აღვადგინეთ წყალსადენი, აგრეთვე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია და აუცილებელი, მუნიციპალიტეტის მიერ თემის ცენტრში სამრევლო ეკლესიის ასაშენებლად მიწა გამოიყო.

რასაკვირველია, ამდენმა სიკეთემ მეც და მთელი თემის მცხოვრებლებიც გაახარა.

კიდევ უფრო მრავალფეროვანი და დინამიური რომ გახდეს თქვენი თემის ხვალინდელი დღე, მისი სახეცვლილება რა ფორმატით შეიძლება მოხდეს?

–მთავარია შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება. საამისოდ, დასაქმების გზები სხვადასხვა მიმართულებით უნდა გამოიძებნოს. პირველ რიგში, ადგილზე სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის გზით. ამ მიმართულებით მთავრობა უკვე მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს, რაც მისასალმებელია. დიდი სურვილი მაქვს, თემში შეიქმნას აგრონომიული სკოლა, სადაც კვირაში ერთხელ მოსახლეობა მოისმენს ლექციებს და მიიღებს ცოდნას თანამედროვე აგრონომიის, სოფლის მეურნეობის მართვის, კოოპერაციის, მთავრობის პროგრამების შესახებ და მიღებულ ცოდნას თავიანთი მეურნეობების განსავითარებლად და ახალი მეურნეობების შესაქმნელად გამოიყენებენ.

ვიცი, კარგი მშობლების შვილი ხარ. ოჯახიც სიყვარულით შექმენით. გყავთ ორი მშვენიერი ვაჟკაცი. მეუღლე ეკა ტიბუა კვლავ საჯარო სამსახურშია. იქ, სადაც ერთმანეთი გაიცანით და შეიყვარეთ. მჯერა, ახლაც აფასებთ და ძალიან გიყვართ ერთმანეთი. რა არის თქვენი ოჯახის იდეალის საიდუმლო?

–მე და ეკა ვცდილობთ შვილები ქრისტიანულად აღვზარდოთ. ხშირად მიგვყავს ეკლესიაში. მარხულობენ, აღსარებას აბარებენ, ეზიარებიან. გვსურს, შეეჩვიონ ლოცვას...

წმინდა პავლე მოციქული ამბობს: „ქმარმა ჯეროვანი პატივი უნდა სცეს ცოლს, აგრეთვე ცოლმაც ქმარს“. ჩვენც ვცდილობთ ამას. ზოგადად, სიყვარულია მთავარი, ისევ წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებს მოვიშველიებ:„სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია. არ შურს, არ ყოყოჩობს. არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას. თავისას არ ეძებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს; ყოველთვის იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს, სიყვარული არასდროს მთავრდება.“

სოფელში ალბათ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც, როგორც იტყვიან, სოფლის ნამდვილი მემატიანეები არიან. რას გვეტყოდით მათ შესახებ?

–დიახ, სოფელში არიან ისეთი მხცოვანი ადამიანები, რომლებსაც ბევრი უნახავთ და ბევრი ახსოვთ. ასეთები არიან: ვალიკო გუგუნავა, ლონია ძაგანია, მიშა შამუგია, ვახტანგ ბელქანია, ვლადიმერ კონჯარია, როინ გურალია და ბევრი სხვა. ხშირად ვხვდები მათ. ისინიც სიამოვნებით მიყვებიან ძველ ამბებს, თავსგადახდენილ კურიოზებს, ხშირად ვსაუბრობთ სოფლის მომავალზე.

ასე, რომ ძალიან საინტერესოა მათთან ურთიერთობა.

ქრისტიანი კაცი გულკეთილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი და სხვების დამხმარე უნდა იყოს. ალბათ თქვენც ასე ფიქრობთ, არის ეს თქვენი მოწოდება და შეძლებისდაგვარად ახერხებთ მის განხორციელებას?

–ადამიანები მუდმივად ღვთისგან წყალობას ვითხოვთ. და თუ წყალობის მიღება გვინდა, წყალობის გაცემაც უნდა შეგვეძლოს. შეძლებისდაგვარად მეც ამას ვცდილობ.

ირაკლი, როგორ ხართ მოტივირებული არჩევნებისთვის. 15 ივნისი ალბათ ძალზე აქტიური გახდება. თქვენი როლი ამ არჩევნებში როგორი იქნება?

–საქართველოში რეალური თვითმმართველობა მხოლოდ 1991 წელს იყო, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე თვე 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალებამდე იარსება. 2014 წლის 15 ივნისის არჩევნები იმით არის გამორჩეული, რომ საძირკველი ეყრება რეალურ, ნამდვილ ევროპული ტიპის თვითმმართველობას, რაც ხელისუფლების დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი სურვილი მაქვს, რეალური თვითმმართველობის დამკვიდრებაში და მომავალში თვითმმართველობის ტრადიციის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მივიღო.

ეასუბრა ნანი კილასონია.

საინტერესო შეხვედრა ანაკლიაში

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით, ანაკლიაში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და მავშვთა და ახალგაზრდობის ერთიანი ცენტრის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტების ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს შეხვედნენ. შეხვედრაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი ფერიდე გოგია იმყოფებოდა. უფრო დაწვრილებით ამ შეხვედრის შესახებ მისი კომენტარიდან შეიტყობთ.

საქართველოს ახალგაზრდობა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს. ამ მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ შერჩეულია 2014 წლის ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა გათვალისწინებით არაერთი საინტერესო და შინაარსიანი პროექტები ხორციელდება საქართველოში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს რეგიონული განვითარებისა და რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობაზე, რაც გულისხმობს ახალგაზრდების დასაქმების, არაფორმალური განათლების და თავისუფალი დროის შინაარსიანი გატარების შესაძლებლობების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფას. ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით, მიმდინარე წლის 5-7 მარტის ჩათვლით რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების და გაუმჯობესების მიზნით ახალგაზრდობის საკითხებზე დაბა ანაკლიაში სასტუმრო „პალმ ბიჩში“ მოეწყო გასვლითი სამუშაო შეხვედრის ორგანიზება. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ კანდელაკი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ვახტანგ ასანიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ბელა ბერაძე, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი თამარ ხვედელიანი და სხვა ხელმძღვანელი პირები 69 მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში სიღრმისეულად და ამომწურავად იქნა განხილული რეგიონებში არსებული პრობლემატიკა, შემუშავდა კონკრეტული ღონისძიებები და წინადადებები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ასევე დასახულ იქნა მომავალი სტრატეგიული გეგმები ერთობლივად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. შედგა მონაწილეთა ურთიერთგაცნობა, 2014 წლის ახალგაზრდული პროგრამების პრიორიტეტული მიმართულებების და მუნიციპალიტეტების კალენდრის პროგრამის პრეზენტაცია. ინფორმაცია მოგვეწოდა რეგიონებში არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრების დაფუძნებასთან დაკავშირებით.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. მოხდა მონაწილეთა სამუშაო ჯგუფებად დაყოფა. რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე ჯგუფები დაიყო რეგიონული პრინციპით (10 რეგიონი-10 ჯგუფი). სამეგრელოს-ზემო სვანეთის ჯგუფში ვიყავით გაერთიანებული ხობის, სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ფოთისა და მესტიის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. თითოეულმა ჯგუფმა წარმოვადგინეთ ახალგაზრდულ საკითხებზე რეგიონში არსებული პრობლემატიკა. მუნიციპალიტეტის კალენდრის პროგრამაში განხორციელდა ჩვენი რეგისტრაცია.6 მარტს კი თითოეული ჯგუფი თავისი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავებდა ერთობლივად განსახორციელებელ ახალგაზრდულ საპროექტო იდეებს. მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჯგუფებში მუშაობა. საღამოს კი შედგა ჯგუფების საქმიანობის შეჯერება და პრეზენტაცია. მე პირადად მომიწია სამეგრელო-ზემო სვანეთის სტრატეგიული ჯგუფის მიერ შემუშავებული სამი ახალგაზრდული რეგიონალური პროექტის პრეზენტაციამ, რომლებიც ითვალისწინებდა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობას ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და კულტურულ-შემოქმედებით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, რომელსაც შეხვედრის ორგანიზატორებისა და მონაწილეთა მოწონება ხვდა წილად.

7 მარტს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის, ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მოგვიწყვეს მათი პროგრამების პრეზენტაციები. საღამოს კი შედგა შემაჯამებელი შეხვედრა - დამშვიდობება.

აღნიშნული შეხვედრები ხელს შეუწყობს სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების კოორდინირებულ მუშაობას, სამინისტრო თავის პროექტებში ჩართავს რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს, რეგიონები კი იხელმძღვანელებენ სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალგაზრდული საერთო პოლიტიკით.

ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „სტუდენტური დღეები 2014 - ევროპული მომავლისათვის“ პროექტის ფარგლებში სამეგრელოს რეგიონიდან სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით ხობის მუნიციპალიტეტში მაისში დაგეგმილია სტუდენტური დღეების ჩატარება.

მოამზადა ნინო გერგაია.

ბლიც ინტერვიუ

სახელი–მურმან
გვარი–ბუკია
საქმიანობა–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

წარსულიდან რას გაიხსენებდით?

- მენატრება ბავშვობის მეგობრებთან თამაში და დედის მოფერება.

რომელი სურვილი ვერ აისრულეთ?

–მინდოდა მოგზაური გამოვსულიყავი და მთელს კონტინენტებზე მემოგზაურა, ქვეყანა შემეცნო.

რა არის თქვენი ძლიერი მხარე?

–ადამიანთმოყვარეობა, შესაძლებლობის ფარგლებში ყველას მინდა დახმარების ხელი გავუწოდო.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება.

–საყვარელ ხალხს ტკბილეულით ვუმასპინძლდები.

უხერხული სიტუაციიდან როგორ იხსნით თავს?

–ვცდილობ დავწყნარდე, შემდეგ ვმოქმედებ სიტუაციიდან გამომდინარე.

რაც თქვენ არ გაქვთ და ძალიან გინდათ თქვენს შვილებს მაინც ქონდეთ?

–ერთიანი, დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი სამშობლო.

ორი სიტყვით თქვენს ოჯახზე,

–მეუღლე–იზოლდა, პროფესიით ექიმია, შვილები გელა და მანუჩარი ეკონომისტები არიან, რძლები: ალიონა ექიმია, ირმა კი ეკონომისტი, ოთხი შვილიშვილი მყავს... ბაბუას სიამაყეები....

ვის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ ცხოვრება?

–ოჯახისა და სამეგობრო წრის გარეშე რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება.

ადამიანში რას აფასებთ?

–ადამიანობას, კაცთმოყვარეობას, რწმენას, პატიოსნებას....

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?

–სხვას არ გაუკეთო ის, რაც შენ გულს გატკენს.

ვინ არიან თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები?

–ჩემი მშობლები.

როგორ მოხვდით პოლიტიკაში?

–უბრალოდ, მინდა მოკრძალებული წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის წინსვლაში.

რა არ მოგწონთ?

–მიზნის მისაღწევად ხალხის მოსყიდვა, შეგნებულად ხალხის მოტყუება.

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?

–ყველა, ვინც ბოროტებას ჩადის.

ამ წუთს რას ინატრებდით?

–ჩემი ქვეყნის მთლიანობას.

რას დაივიწყებდით?

–ყოველგვარ წყენას.

საყვარელი სასმელი?

–ქართული შავი ღვინო.

სადღეგრძელო?

–უფლის სადიდებელი და მშვიდობის სადღეგრძელო.

რისი დაკარგვა არ გინდათ?

–სამეგობრო წრის. მინდა ყველა ერთად და დიდხანს ვიყოთ.

რისი გჯერათ?

–საქართველოს გაძლიერების და ბედნიერი მომავლის.

რა არ გაინტერესებთ?

–სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევა.

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?

–ოჯახის წევრებთან, სამეგობრო წრესთან და სამსახურის თანამშრომლებთან ურთიერთობით.

თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით?

–უპირველესად ყველას დავასაქმებდი, რათა წესიერი შრომით ბედნიერად იცხოვრონ.

რითი დაასრულებდით საუბარს?

–მივმართავ ყველას, რომ იცხოვრონ სამართლიანი და წესიერი ცხოვრებით. უყვარდეთ და პატივი სცენ ერთმანეთს.

ლელა ალანია, ჟურნალისტი.

დოკუმენტი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N3

2014 წლის 27 თებერვალი **ქ. ხობი**

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის N784 ბრძანებულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადგინდეს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი თანახმად დანართისა.

2. დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 ოქტომბრის N19 დადგენილება.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

მამუკა ქარდავა,
საკრებულოს თავმჯდომარე.

დანართი
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 თებერვლის N3 დადგენილებისა

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში - „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

ა) C_N - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} - არის ქ. ხობის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც შეადგენს 0,43-ს;

გ) I_{TL} - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს;

დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 120-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქ. ხობში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0,43	1	0,24	120	12,38

3. ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 3.71 ლარს.

4. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და შეადგენს - 3.1 ლარს.

5. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის N287 ბრძანებულებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 6.19 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული წესი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ქალბატონებს დედისა და ქალთა დღე მიულოცა

დედის და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიან დედებს და უხუცეს ქალბატონებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ პირადად მიულოცა გაზაფხულის დღესასწაულები და მათ საჩუქრად ყვავილები და ფულადი დახმარებები გადასცა.

„მრავალშვილიანი ოჯახებისა და უხუცესი ქალების ერთჯერადი ფინანსური დახმარების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 6 მარტი N48 ბრძანების თანახმად ადგილობრივი ბიუჯეტის სოციალური პაკეტიდან გამოიყო თანხა მრავალშვილიან ოჯახებზე - 10950 ლარის და უხუცეს ქალებზე - 750 ლარის ოდენობით.

საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ საჯიჯაოს თემში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და გლეხებს თანადგომას დაჰპირდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „მექანიზატორის“ (აბაშის ოფისის მენეჯერი მერაბ ნადარაია, ადგილობრივი მენეჯერები: ჯანსუღ ჯიშკარიანი და გია იოსავა) მიერ გამოყოფილი 16 ახალი ტრაქტორი მუშაობს. მიმდინარე პერიოდისთვის მოხნულია 700 ჰექტარი, მუნიციპალიტეტის მაშტაბით სულ მოსახნავია 5800 ჰა მიწის ნაკვეთი.

3 <<<<<<<

„მეამბოხე სული ცხოვრების ყველა ეტაპზე თან დამყვა“....

როგორ ფიქრობ რა როლი უკავია ხატვას და მუსიკას მოზარდის გონებრივ განვითარებაში?

–ხატვა, ისევე როგორც მუსიკა, სავალდებულოა ბავშვის კულტურულ-ესთეტიკური აღზრდისათვის, იყო პერიოდი, როცა ბაღში მუსიკის მასწავლებლის შტატი გააუქმეს, ეს დაუშვებელი იყო, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ შტატი აღსდგა და ეს სასიხარულო იყო თითოეული აღსაზრდელისათვის. რაც შეეხება ხატვას,ხატვა ბავშვს ცხოვრების მშვენიერების აღქმას უადვილებს, გემოვნებას უყალიბებს.

რთული თაობა მოდისო ამბობენ...

–ვერაფერს იტყვი, რაც მოდის, გუშინდელი და დღევანდელი თაობის შედეგია. ვერ ვიტყვი, რომ რთული თაობაა... რაც მოდის ძველი თაობის გამოძახილია. როგორებსაც გავზრდით, ისეთები იქნებიან. ტექნიკის მხრივ უფრო განათლებულები არიან,მაგრამ წიგნიერ მხარეს მართლაც ვერ მოვუწონებ, კითხვა ეზარებათ.

თვისება, რომელიც შენში ყველაზე ძალიან მოგწონს და არ მოგწონს?

–სხვისი სატკივარის გულთან ახლოს მიტანა, ამ დროს ძალიან გულჩვილი ვხდები. კიდევ, თვითკრიტიკული ვარ, ესეც კარგია, რადგან თვითკმყოფილების საშუალებას არ ვაძლევ საკუთარ თავს.ბევრი რამე არ მომწონს... ძალიან ფეთქებადი ვხდები ხოლმე...

წონასწორობიდან შენი გამოყვანა ვის ან რას შეუძლია?

–უემოციო ადამიანები მაღიზიანებენ, ვერ ვიტან უსამართლობას.

რა არის სინანული და რას ნანობთ?

–სინანული მხოლოდ მოძღვართან ცოდვის აღიარება არ არის. მთავარია, მეტად აღარ დაუბრუნდე იგივე ცოდვებს. ძალიან ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ ამის შეცვლა შეუძლებელია. ის, რაც გავიარე, ჩემი ცხოვრების გზაა და ალბათ, ასეთი უნდა ყოფილიყო.

თქვენ თავად როგორ გაიხსენებდით ბაღის წლებს და აღმზრდელებს, რა თქმა უნდა თუ ისინი თქვენს მეხსიერებას შემორჩა...

–ჩემი ბაღის აღმზრდელი ქალბატონი ლამარა ბერიშვილი იყო, ძალიან თბილი და სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს ბაღის ასაკთან.მახსოვს მუსიკის მასწავლებელი რუსიკო ბუკია, რომელიც გათხოვდა და ძალიან განვიცადე მისი ბაღიდან წასვლა. მერე მუსიკას იზოლდა მასწავლებელი გვასწავლიდა. ნინო შენც კარგად გემახსოვრება ისინი, ჩვენ ხომ ერთ ბაღში დავდიოდით. მინდა დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ვუსურვო მათ.

საუბრის დასასრულს როგორც ჟურნალისტი რას იტყოდით „ხობის მოამბეზე“?

–მინდა უფრო მეტი სიმართლე იწერებოდეს, მეტი ყოველდღიურობა აისახოს და საჭირო „წკიპურტები“ მოხვდეთ თვითკმაყოფილებას მიცემულ მავანთ, მინდა სერიოზულ ჟურნალისტურ გამოძიებებს აწარმოებდეთ, მეტი თავისუფალი ლავირების საშუალება გქონდეთ და წეროთ ის, რაც საჭირო და აუცილებელია.

ესაუბრა ნინო გერგაია

იუბილე



მაცონ ნუგზარ ნადარაიას სამოცდაათი წელი შეუსრულდა. საიუბილეო საღამოზე ხომლოთა სახელით მას ქალმაცონმა მერი აბრამიამ მიმართა.

გთავაზობთ ამ მიმართვის ტექსტს.

„კეთილ საქმეთა სიმრავლე გშვენით...“

ბატონებო და ქალბატონებო!

ვიდრე აქ მოვიდოდი, თვალი გადავავლე დღევანდელი იუბილარის, ღვაწლმოსილი ადამიანის, ბატონი ნუგზარ ნადარაიას მიერ განვლილ გზას.

მიუხედავად იმისა, რომ, იგი საზოგადოების ელიტარული ნაწილის წარმომადგენლის, ბატონი ოთარი ნადარაიას ოჯახის შვილი იყო, ახალგაზრდობიდან შრომაში გახლდათ ჩაბმული. ამავდროულად დაჯილდოებული იყო ლიდერის ყველა თვისებით და წარმატებით იყენებდა კიდეც მას სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში. ყველგან, სადაც კი ფეხს დაადგამდა. მისი უპირველესი საზრუნავი მუდამ და ყოველთვის გახლდათ ქვეყანა, ხალხი, მათი ჭირი და ლხინი, უშურველად თესავდა სიკეთეს, სიყვარულს, რომელიც უკანვე უბრუნდებოდა, ამ გზაზე სიმართლით წელგამართულმა იარა და პირნათელი, შუბლნათელი, საქმენათელი მოვიდა დღემდე.

ბატონო ნუგზარ, ხობელების სახელითა და მათივე დავალებით გულმხურვალედ გილოცავთ დაბადების დღეს, დღეგრძელი იყავით ვით სამყარო, გამრავლდით ვითარცა იაკობი, ჯანმრთელი და ბედნიერი ბრძანდებოდეთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად, რომლის ხუთსულიან შემადგენლობაში სამი მეცნიერებათა დოქტორის საპატიო წოდებას ატარებს.

გარწმუნებთ, ამგვარი ოჯახები მცირეა, როგორც საქართველოში, ისე მთელს რეგიონში.

თქვენს სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სამრეწველო, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობების ბუმი ხობში. განსაკუთრებულად მინდა მოვიხსენიო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის არნახული სიმაღლე: პოეტი–აკადემიკოსის, ხორგელი ალიო მირცხულავა–მაშაშვილისა და საქართველოს სახალხო არტისტების პიერ და ბადრი კობახიძეების სახლ-მუზეუმები ხორგასა და ხამისქურში და მაინც ბატონო ნუგზარ, მინდა მოგაგონოთ თქვენი ნაღვაწის რამდენიმე გვირგვინი:

1) კოლხეთის ათვისების მუზეუმი, რომლის უნიკალურობა საქართველოს ფარგლებს გასცდა;

2.) სპორტული კომპლექსი ქალაქის ცენტრში, საჭირო ინფრასტრუქტურითა და უნიკალური საცურაო აუზით, სადაც შეჯიბრებების წინა დღეებში სავარჯიშოდ, მოსკოვიდან მსოფლიო ჩემპიონი ცურვაში, ბატონი სალნიკოვი ჩამოდიოდა.

3) შინმოუსვლელთა სახლი მიმდებარე ინფრასტრუქტურით, რომლის ამფითეატრი ბევრ ხალხმრავალ ღონისძიებას ემსახურება, მათ შორის ხობის ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“, რომელიც ორი წელიწადში ერთხელ იმართება საქართველოს პარლამენტში ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას დაფინანსებით.

4) ხობის კულტურის სასახლე, რომლის მშენებლობაში, თქვენ რაიონის პირველი პირი, ფიზიკურადაც მონაწილეობდით. კარგად მახსოვს ისიც, რომ მშენებარე შენობაში ერთ პატარა საკუჭნაო ოთახში საწოლი გქონდათ გამართული და ღამეს იქ ათენებდით, მიზანი ერთი იყო: მშენებლობა ხარისხიანად და დროზე დასრულებულიყო. სასახლის დასრულების შემდეგ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები გასვლით სპექტაკლებს მართავდნენ ჩვენს პატარა ქალაქში.

ახლაც ჩამესმის ჩვენი საყვარელი მსახიობის სულმნათი მედეა ჩახავას საოცარი ლამაზი ტემბრის ხმით წაკითხული მეგრული ხალხური ლექსი:

„ვარდისი დო ჭუჭელესი
ართო უღუდესი ბინა,
ვარდის ჯუდა ქოხვადუნდა
–ჭუჭელესი მიკოჯინა!“

და კიდევ ერთი, თქვენი რუდუნებით აშენებული კინოთეატრი „თუთარჩელა“, კარგა ხანია არ ფუნქციონირებს. შენობაში ბევრი ობიექტია განთავსებული საბილიარდოთი დაწყებული და სასაუზმით დამთავრებული. დღეს ხობში აღარ არიან ხელმძღვანელობაში ადამიანები, რომელთაც „არ ეცალათ“ მოსახლეობის მოსასმენად, მათ სურვილების გასათვალისწინებლად. იმედი მაქვს რაიონის ამჟამინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით კვლავ განათდება კინოთეატრ „თუთარჩელას“ წლების მანძილზე ჩაბნელებული ეკრანი. თქვენი ღვაწლის კიდევ ერთი საჭირო ტრადიციის დამკვიდრება, ბატონო ნუგზარ, სახალხო დღესასწაული „ცოტნეობაა“. ეს თქვენ, პატრიოტმა, გონიერმა და შორსმჭვრეტელმა ხელმძღვანელმა გახსენით დახურული ბჭენი ისტორიისა და საქართველოს მოსახლეობას მოაგონეთ „ვინ ვართ, ვისი გორისანი ვართ, სიდან მოვდივართ“, საით მივდივართ.

ცოტნე დადიანი, გმირი ერისთავი ხომ ის კაცია, ვინაც მტერიც კი მოხიბლა თავისი ზნეობრივი სიმაღლით, დააჩოქა. განაიარაღა იგი, ცოტნეს აქამდე გაუგონარმა გმირობამ და ვაჟკაცობამ აიძულა სისხლისმღვრელი მონღოლი ნოინი გაეთავისუფლებინა შეთქმულნი. ამავე თემას ემსახურება თქვენს მიერ დაფუძნებული ფაზისის საერო–სამეცნიერო აკადემია, მისი ორგანო „ცოტნეიდელი“, იგი ასევე, თქვენი რედაქტორობით გამოდის და მახვილი თვალი და ყურია, აღნუსხოს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, ქართული მწერლობა, ხელოვნება, ზეპირსიტყვიერება, ჩვენი ხალხის სულიერი ტკივილი, უკვდავ მამულიშვილთა ნაფიქრალ–ნაღვაწი და სხვა, მასალა მიაწოდოს სულიერი საზრდო, მართალი და უტყუარი საზრდო, ქართულ საზოგადოებას, რისთვისაც ეს საზოგადოება უზომოდ მადლიერია თქვენი.

ფასდაუდებელია თქვენი ღვაწლი, რომელიც გასწიეთ ხობისა და ხობელებისათვის. 12 წლის მანძილზე თქვენ თავდადებით ემსახურეთ მათ, 12 წელი აშენეთ ხობი, ამშვენეთ ხობელები, სიყვარული და სიკეთე თესეთ მოსახლეობაში. ქვეყნის, შრომისა და ცოდნის სიყვარულით ზარდეთ ჩვენი ახალგაზრდობა. ჭერი დააფარეთ უსახლკაროებს, ყავარჯნად შეუდექით ინვალიდებს, საქართველოს გარეთ მეგობრები გაგვიჩინეთ, უკრაინის ერთ-ერთი რაიონის გენიჩესკის მოსახლეობის ერთ ნაწილის შთამომავალნი დღემდე ცხოვრობენ თქვენს დროს დამეგობრებულ გურიაში.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა თქვენეულ შინაპარტიულ დისციპლინასა და საზოგადოებრივ წესრიგზე, ადამიანებმა ისწავლეს ურთიერთპატივისცემა, სიტყვის ფასი, პასუხისმგებლობის გრძნობის აღქმა.

ყველა გრძნობდა თქვენს მახვილ თვალსა და ყურს, ყველამ იწვნია დამსახურებული სასჯელის სუსხი და სამართლიანობის განცდის სიტკბო. მადლობა თქვენ ყოველივე ამისთვის!

ყველა ხობელის სახელით მადლობას მოვახსენებ ქალბატონ მანანას, სულითა და ხორცით მშვენიერ თქვენს მეუღლეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს თქვენი თანამოაზრეობისა და თანადგომისათვის, თქვენს ვაჟიშვილს ოთარ ნადარაიას, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, მის მეუღლეს ნათია გიგაურს–დოქტორანტების მაძიებელ მსმენელს, ასეთი თბილი, ურთიერთობისადმი პატივისცემისა და სიყვარულის, ოჯახური თანაცხოვრების ჰარმონიულობის შენარჩუნებისა და დაცვისათვის. თუმცა აქ საკვირველი არაფერია ქალბატონი ნათია დიდი ადამიანის ქვეყნის მართალი თვალისა და ყურის საქართველოს გენერალური პროკურორის ბატონ ვახტანგ რაზმაძის შვილიშვილია და ოჯახიდან მოყვება ყველა სიკეთე.

ღვთის განგებაა, ალბათ, ისიც, რომ ეს ორი ტრადიციული ოჯახი გაერთიანდა. უფალმა მათ ჯანმრთელ ნაკვალევზე ღირსეულად ატაროს პატარა ნინო ოთარის ასული ნადარაია.

ბატონო ნუგზარ, ჩვენო საყვარელო ადამიანო, მინდა ყველა ხობელის სახელით დედაშვილურად დაგლოცოთ და გულიდან ამოღებული ჩემივე სტრიქონებით მოგეფეროთ

მრავალჟამიერ, კოლხო
რაინდო,
კეთილსაქმეთა სიმრავლე
გშვენით,
მინდა შვილივით გაქო,
გადიდო!
დავლოცო თქვენი ჯიში
და გენი.
ამაღლდეს თქვენი ჭერი
და სხვენი!
თქვენ შემოგევლოთ
სიცოცხლე ჩემი!

მერი აბრამია,
აკადემიების „ფაზისისა“ და „ქალდეას“ ნამდვილი აკადემიკოსი.

P.S. *ვაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციის თანამშრომლები ულოცავენ ჩვენი ვაზეთის აქტიურ მკითხველს და გულთბილად ეტყვიან, ხობის სანაცვლოთ მოაღწიოს 70 წლის იუბილეს, უსურვებენ ჯანმრთელობას, წარმატებებს თავის საქმიანობაში.*

თემა

დღევანდელ ნომერში, მითხვეულებს ვთავაზობთ შეხვედრას ნორჩ თაობასთან, რომელთაც სურთ გაგვიზიარონ თავიანთი აზრები, მსჯელობები, ფიქრები. ისინი გადმოგვცემენ თუ რა აწუხებთ, როგორ შეუძლიათ სილამაზის აღქმა, რაზე სწუხან, როგორ ხედავენ სამყაროს და ამ სამყაროში თავიანთ თავს. ჩვენი რუბრიკა ბავშვს მისცემს საშუალებას განავითაროს საკუთარი აზრი, წარმოსახვის უნარი, გადმოსცეს თავისი ემოციური და ზნეობრივი სფერო.

მაშ ასე—გავეცნოთ ჩვენს ნორჩ მკითხველებს.

ირაკლი თუთბერიძე,
მე-3 კლასი, ხობის №1 საჯარო სკოლა.

ღირს სიცოცხლე

ნაკადული პაცარაა, მაგრამ ძალიან ლამაზი. საოცარია იგი დილით. მის კამკამა ზედაპირზე მზის სხივები ირეკლება. თითქოს მზე პირს ჰმანს თავის ციმციმა სხივებს. ნაკადული სიამოვნებას ანიჭებს ადამიანებს. მის ნაპირებთან ისვენებს ყველა გამვლელ-გამომვლელი.

პაპანაქება სიცხეში ნაკადული აგრილებს ადამიანებს. ცხოველებსაც უყვართ აქ მოსვლა. მათაც სცხელათ მცხუნვარე მზის ქვეშ. უხარია ნაკადულს, რომ სარგებლობა მოაქვს ყოველი სულდგმულისთვის. თუმცა დარდიც არ ასვენებს. დღემოკლე ცხოვრება აქვს. შეიძლება ადიდებულმა მდინარეებმა შთანთქან. მით უმეტეს, გაზაფხულზე. მაშინ ხომ თოვლი დნება და წყლად იქცევა. მას შსაპონა წვიმებიც ემატება და მდინარეები დიდდება. ნაკადული დარდობს და ჩივის: რაცომ ვარ პატარა? დიდი რომ ვიყო, მდინარეები ხომ ვერ მომერეოდა. თუმცა არა, სიკვდილზე არ უნდა ვიფიქროთ, არ უნდა მეშინოდეს. მე ვჭირდები ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს. ღირს სიცოცხლე, თუნდაც ხანმოკლე.

გაზაფხულის მახარობლები

გაჯიუტდა ზამთარი. თითქოს აღარ აპირებდა წასვლას და გაზაფხულისთვის ადგილის დათმობას. მაგრამ მზემ თავისი გაიცანა. დათმა და მიწამაც დაიბახა: მარცი მოვიდა, გაზაფხულის პირველი თვე. მუჩქების ძირებიდან ამოანათეს კვკლუცმა და სუნრნელოვანმა იებმა, ყელი მოიღერეს ენძელებმა. მათ მოყვნენ ყოჩივარდები, ფურისულები. წითელი, თეთრი და იასამნისფერი ყვავილებით შეიმოსნენ ნუშის, შინდის, ცყემლისა და აცმის ხეები. თმილი ძვეყნებიდან მოფრინდნენ გაზაფხულის მაცნე ფრინველები. მათი ქიბილ-ხიბილი ამხიზლებს და ალამაზებს არემარეს. გაზაფხულის მომბრძანება პირველად კუდმაკრაცელა მერცხლებმა ამცნეს თავიანთ მშობლიურ მხარეს. მათ ჰაერში კამარა შეკრეს და გაინავარდეს. ცის თაღისკენ ისრად აჭრილი ცორილა სასიამოვნოდ გალობს. მულმული კი საამურად სცვენს. დილის რიჟრაჟზე ცეკვა გაუმართავთ წერილებს, აცრიალებენ და ფრთებს ათრევენ შლიან.

გაზაფხულის მოსვლას ზეიმობენ გაზაფხულის მახარობლები.

სჯერა, მის მვერდით იქნება

ჩემს მეგობარს ნინო ჰქვია. ჩვენ სამავშვო ბაღიდან მოვდივართ ერთად. ნინო კარგად სწავლობს. ხშირად დარდიანია დედისერთა გოგონა, ნაღვლიანი თვალები აქვს. მან სამი წლის წინ დაკარგა დედა. ნინო რვა წლის იყო მაშინ, დედა კი—ოცდაცამეტის. გოგონას მუდამ ახსოვს დედის სიცყვები, სიკვდილის წინ რომ უთხრა: ნუ შეგეშინდება, შვილო. სადაც არ უნდა ვიყო, მუდამ შენს გვერდით ვიქნები, სითბოსა და ალერსს არ მოგაკლებ. შენ ამას იგრძნობ, შვილო კარგად ისწავლე, ექიმი გახდი და უწამლე ავადმყოფ დედებსო. ამ სიცყვებით გარდაიცვალა ნინოს დედა იმ დროს, როცა ამოსვლას იწყებდა ია. ნინოს დედას ძალიან უყვარდა იები. მათ ეზოში ბლომად ამოდიოდა ეს ლურჯთვალება ყვავილი. იმ დღიდან ნინო მოუთმენლად ელოდება ყოველ გაზაფხულზე იის ამოსვლას. ია, დედას აგონებს. იასავით ნაზი და ლამაზი იყო ნინოს დედა. ნინო მოკრეფილ იებს ლარნაკში დებს. გოგონა გრძნობს, რომ ოთახში დედის სუნნელი, სითბო და სიყვარული იღვრება.

ნინოს სჯერა, დედა ყოველთვის მის გვერდით იქნება.

აკაკი კასრაძე,
მე-7კლასი, რუსთავის №6 საჯარო სკოლა,

უდაბნოში ქართან ერთად წვიმდა

ცხელი მცხუნვარე უდაბნო, ადგილი, სადაც ცხოვრების არანაირი სუნთქვილი არ არსებობს. გავარვარებულ ქვიშას თითქოს ცეცხლის ალი ესაუბრება.

დღე უცნაურად გადის, სიცხე კლებულობს და შენს საკუთარ სხეულს წვიმის ქარი ელამუნება. სწორედ იქ, სადაც თვალის მიწვდენა შეგიძლია, იმ ჰორიზონტზე მოსჩანს ქვიშის დიდი გორგალი ჰაერში აწეული, ეს ქვიშის ქარმორბალაა. ის ნელ-ნელა ახლოვდება.

სახეზე ქვიშის ნაწილებთან ერთად წვიმის წვეთებიც იშლება და ისევ უდაბნოს უერთდება.

ცა იღრუბლება, ამინდი უფრო იცვლება. წვიმა მატულობს, მაგრამ ის უდაბნოს ცხელ მიწაზე ეცემა და ორთქლდება.

შუა უდაბნოში ვხედავ ხეს, ის არც ისე ფოთლოვანია. ნეთუ, ეს იმ წვიმის შედეგია. იქნებ მიწას ცრემლებიც დაეცვა, დილაობით ნამის სახით, რომ გამოცოცხლდა და სახე უსვლელდება, მაგრამ ამაზე საუბარი მაინც ზედმეტია, რადგან ეს ადგილი მაინც უდაბნოა.

უდაბნოში ქარი იმ სახედარს ჰგავს, რომელიც მბიმე ცვირთს ზიდავს, როგორც ეს ქარი ამ ქვიშას აქეთ-იქით ფანცავს და ქვიშის გორებს ქმნის.

ისევ კარგი ამინდი გამოდის, ყვავილები მშვიდდება და უმრუნდება თავის საწყისს.

ქვიშაში ჩამარხული მზე

მზის სხივები სადღაც ჩაიკარგა. იგი სრულიად ჩამოშორდა სამყაროს. შეწყდა არსებობა, ცხოვრების ნიშანწყალი ჩაქრა.

აღარსად ჩანს ცოცხალი არსება. დადუმდა ხეები და ყვავილები ჩაჩუმდა.

გაქრა ღრუბლების ცალღებზე მოცურავე მზე გაწითლებული საღამოს დროს.

ქარი მოშოქრობს, წვიმს თითქოს ეს დამაზიანებელი მუნებრივი მოვლენები გამაცოცდნენ და დაიწყეს მმრძანებლობა დედამიწაზე.

თვალუწვდენელ უდაბნოს ქვიშის ველზე, მზე სიცოცხლეწართმეულივით ჩაესვენა, თითქოს მის აჩრდილს შავი სუდარა გადაეფარა. ჩაიმარხა, გარდაიცვალა სამუდამოდ მოსწყდა არსებობას.

დედამიწა დაღონდა, რადგან მასზე გამაცოცდა ანციქრისცე თავის მორიცი მოციქულებით, უკუნითმა მოიცვა სამყარო და დიდი, სიცოცხლით გაუმაძღარ ცისფერ ცას მნელით ჩაენაცვლა.

ეს მხოლოდ წარმოსახვაა, ფანტაზიაში გათანცული სუნათებითა და იმედია. კიდევ დიდხანს იარსებებს ჩვენი სიცოცხლის წყარო, მზე.

P.S. ხობი აკაკის დედულეთია, იგი კასრაძეებისა და გვათუების იმედი და სიხარული, ზემო ქვალონის თემის ხშირი სტუმარი და გულშემატკივარია.

(რედ.)



გივი შანავა,
ხობის №1 საჯარო სკოლა.

მიტოვებული სახლი

ანი ბუცხრიკიძე,
V კლასი, ხობის №1 საჯარო სკოლა.

სოფლის შუაგულში დგას ერთი მოკრძალებული ოდა-სახლი. დიდი ხანია აქ არავის უცხოვრია. ირგვლივ ყვავილოვანი დუმს: საქონელი, მცენარე, ცაც და დედამიწაც. სცვივა ხეებიდან ნაყოფი, აღარ ჩხრიალებს ღარიდან წყალი, აღარ ყივის მამალი, კარ-მიდამო სარეველა მალახით არის დაფარული. ირგვლივ მცხოვრებთა სახლებში ისმის ყიჟინა, მხიარული შეძახილები, მხოლოდ მიცოვებული სახლის შიგნითაა ყვავილოვანი მკვდარი... რომელიც გაუთავებელი, დაუსრულებელი, სულისმღრნელი, მოლოდინით შენაცრის პაცრონს. გამვლელ-გამოვლელს ნაღვლიან თვალს აყოლებს, იქნებ გამოჩნდეს მისი მშვენელი. მასაც უნდა სითბო, მუხარში აგიზგიზებული ცეცხლი, რომ გაითბოს გაყინული გვერდები.

მოდი ადამიანო, არ გეცოდები? გამანიავე, ვიხეთები, მეც მიყვარს შენებრ სისუფთავე, რამდენი მოდგმა გამოვზარდე, გთხოვ, ყურად მიიღე ჩემი თხოვნა.

სიცოცხლე არს ნეტარება

ანრი შენგელია,
ხობის №1 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე.

სიცოცხლე არს ნეტარება,
რაცა კვდები გენატრება,
სილამაზე-ნეტარება
ზოგს აქვს, ზოგსაც ენატრება,
სიყვარული ნეტარება,
ხან მოდის და ხანაც ძრება,
მარცხობა-ნეტარება,
ხან კარგია, ხან კი ძრება.
ეკლესია ნეტარება,
ყველა რჯულსო ეტანება
სიცოცხლე არს ნეტარება,
რაცა კვდები... გენატრება.

სოფლის მეურნეობა



მეფუტკრეობა საქართველოში ტრადიციული დარგია. მას ჩვენთან ყოველთვის ექცეოდა მნიშვნელოვანი ყურადღება, მაგრამ ამ ბოლო ათწლეულებში უფრო ინტენსიური გახდა მეფუტკრეობით საზოგადოების დაინტერესება. ხშირად გაიგონებთ: „ფუტკარი გააშენე და სარჩო ყოველთვის გექნებაო“–ეს გამოთქმა დიდი ხანია რეალობა გახდა.

ხობის მუნიციპალიტეტში მრავლად არიან ამ დარგით დაინტერესებული ადამიანები. მეფუტკრეობა, მართალია განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ცოდნასა და შრომას მოითხოვს, მაგრამ ეკონომიურად გაძლიერებს და მიმდევრებიც მრავლად ჰყავს, მომხმარებელიც.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომრის სტუმარია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, მეფუტკრე იაკობ ჯანჯღავა, რომელიც საკუთარ ცხოვრებაზე ყვება და მეფუტკრეებს თავის გამოცდილებასა და რჩევებს უზიარებს.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

„ფუტკარი გაშენე, მარჩენალი...“

ბატონო იაკობ, გაეცანით მკითხველს?

–იაკობი (იური) არტემის ძე ჯანჯღავა 1939 წლის 5 მარტს ქალაქ ოჩამჩირეში დავიბადე.

პროფესიით ვარ ინჟინერ–მშენებელი და იურისტი. ჩემი შრომითი მოღვაწეობა ენგურჰესის მშენებლობიდან დაიწყო, სადაც კომკავშირული საგზურით ვიყავი მივლინებული. მშენებლობის დამთავრების შემდეგ, კვლავ კომკავშირული საგზურით ქალაქ გაგრაში „პიცუნდამშენის“ მშენებლობაზე ვმუშაობდი. როცა მშენებლობა დასრულდა, ჩემი მეორე სპეციალობით,–იურისტად დავიწყე მუშაობა. 1993 წლიდან, როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, მუშაობა გვაგრძელე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც 1996 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე ვიმუშავე.

როდიდან დაიწყო თქვენი დაინტერესება მეფუტკრეობით?

–სახსრების იშვიათი დაავადებით გავხდი ავად. გაგრაში ფუტკრის შხამით მკურნალობა (პირდაპირი კბენით) დამენიშნა. მკურნალობისას ვაკვირდებოდი მეფუტკრის მუშაობას, გადავწყვიტე ფუტკრის ოჯახი შემეძინა და მკურნალობა დამოუკიდებლად, თვითონ გამეგრძელებინა. ფუტკრის კბენით მკურნალობამ გაამართლა და გამოვჯამრთელდი, მას შემდეგ ტკივილს არასდროს შევუწუხებივარ. შემდეგ ფუტკრის მოშენება დავიწყე. 30 ოჯახი მყავდა, მაგრამ აფხაზეთიდან იძულებით წამოსვლის შემდგომ ჩემი ფუტკრები იქ დარჩნენ...

აქ, ახალხიბულაში რამდენი ფუტკრის ოჯახი გყავთ?

–თავიდანვე დავიწყე მეფუტკრეობაზე ზრუნვა. ჩამოსვლისთანავე ფუტკრის ორი ოჯახი შევიძინე. გამოცდილებამ და ამ დარგის სიყვარულმა კვლავ მძლია და 45 ოჯახი მოვაშენე. ფუტკრის რაოდენობა სწრაფად იზრდება. 30 ოჯახამდე უკვე გაყიდული მაქვს. გამრავლებულიც ძალიან ბევრია.

ბატონო იური (ასე მოგმართავთ, რადგანაც თქვენ ამ სახელით უფრო გიცნობენ), რამდენი იყო თაფლის პირველი „მოსავალი“, ამჯერად რამდენს იღებთ? ყველაზე დიდი რაოდენობით თაფლი როდის გქონიათ?

–თაფლის მოსავალი თავიდან კარგი იყო, მაგრამ ახალხიბულაში გაიკაფა ადგილები, სადაც აკაციები ყვაოდა. მას ადამიანები მესრებისთვის იყენებენ. შხამქიმიკატები, რითაც წამლავენ ფართობებს, ანადგურებს ფუტკარს, ამდენად ძალიან შემცირდა მოსავლიანობა. აკაციისა და გარეული მაყვლის ყვავილები იყო მათი ძირითადი საკვები, სანამ ხელშემშლელი პირობები გაჩნდებოდა, ფუტკრის ერთი ოჯახიდან 40 კილოგრამამდე ნატურალურ თაფლს ვიღებდი. მქონია შემთხვევა, როცა მთლიანად წელიწადში 1,5 ტონა თაფლი ამიღია.

რომელი თვის თაფლია ყველაზე საუკეთესო და რატომ?

–ნატურალური თაფლი მთელი წლის განმავლობაში კარგია, მაგრამ მყიდველებს მაისის თაფლი მოსწონთ. ადრე გაზაფხულზე სხვადასხვა ხეხილი ყვავილობს, ფუტკარი მას ეძალება და აქედან წარმოებული თაფლი უფრო არომატული და მიმზიდველია მყიდველისთვის, განსაკუთრებით ასეთი თაფლი ქალებს მოსწონთ. ამბობენ მაისის თაფლი განსაკუთრებულიაო, მაგრამ სამკურნალო თვისებებით მაისის თაფლი მაინცდამაინც არ გამოირჩევა.

როდის უნდა აიწონოს თაფლი? წელიწადში რამდენჯერ ხდება თაფლის გამოწურვა?

–თაფლის გამოწურვა იწყება გაზაფხულზე, მაისის ბოლოს, ივნისის თვეში, როცა გაზაფხულზე აყვავებული მცენარეების ყვავილობა შეწყდება. წლის განმავლობაში, ადგილობრივ პირობებში, 2-3 ჯერაც შესაძლოა, რაც ღალიანობის სიმრავლეზე და ამინდზეა დამოკიდებული. ხელშემშლელია წვიმიანი ამინდები, ამ დროს ფუტკრები ღალაზე ვერ მიფრინავენ.

გასაღების კარგი ბაზარი გაქვთ? სად აბარებთ პროდუქციას?

–თაფლის რეალიზება-გაყიდვა საკმაოდ შეზღუდულია. მით უმეტეს, როცა თაფლი დიდი რაოდენობით გაქვს. მიუხედავად ამისა, მაინც ვახერხებ თბილისსა და ბათუმში თაფლის გაყიდვას მუდმივი კლიენტების მოთხოვნით. საუბედუროდ, დიდი რაოდენობით თაფლის ჩაბარება საქართველოში არ ხერხდება და არც არავინაა აღნიშნული პრობლემით დაინტერესებული.

ამდენი წელი რითი გაუოცებიხართ ფუტკარს?

–ფუტკარი იმ შემთხვევაში გაგაოცებთ, როცა ბევრ თაფლს მოიტანს და კარგადაც გამრავლდება.

როგორ უნდა გაარჩიოს მყიდველმა ნამდვილი თაფლი უხარისხოსგან, ანუ ხელოვნურად გაკეთებულისგან?

–თაფლის ხარისხი ძირითადად ლაბორატორიულად დგინდება. სამწუხაროდ, ხშირად ხდება თაფლის ფალსიფიცირება. მას ძირითადად გადამყიდველები მიმართავენ. რაც თაფლის ხარისხის მკაცრი შემოწმებით დგინდება. ზოგჯერ მყიდველი ცდება და ხელოვნურად დამზადებულ თაფლს ანიჭებს უპირატესობას, რადგანაც ასეთი თაფლი ნატურალურზე უფრო ტკბილია, ასეთი თაფლი სამკურნალოდ უვარგისია.

რა ღირს ერთი კილოგრამი თაფლი?

–თაფლის ფასი სხვადასხვაა. ის დამოკიდებულია, გამყიდველზე. ვის რად უღირს. ჩემი სტაბილური ფასი 12 ლარია. ბაზარზე მისი ფასი, რაც არ უნდა გაიზარდოს, მე ჩემს კლიენტებს არ ვაწყენინებ.

სკა იყოფა თავისით, დამოუკიდებლად, ხელოვნურადაც ერევიან? გქონიათ ასეთი შემთხვევა?

–ფუტკრის ოჯახის გაყოფა ხდება ბუნებრივად და ხელოვნურადაც. მე უპირატესობას ბუნებრივ გაყოფას ვანიჭებ.

ამბობენ, ქურდი ფუტკრები არსებობენო, თქვენც გყოლიათ ისეთი ფუტკარი, რომელიც სხვა სკიდან იპარავს?

–ქურდი ფუტკრების არსებობა საფუტკრეში ხშირია. ეს ხდება მაშინ, როდესაც ოჯახს დედაფუტკარი დაეკარგება, ან ოჯახი სუსტია. ამ დროს ასეთი ოჯახები ვერ უმკლავდებიან ქურდ ფუტკრებს, სკაში თაფლი არ რჩება და იღუპებიან.



როგორ აზამთრებენ ფუტკარს? ზამთარში რას ჭამენ. თქვენ თუ ეწევით თქვენი სკებით მომთაბარეობას? სად მიგყავთ, ზამთარში პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?

–ფუტკრის გამოზამთრებაზე მეფუტკრემ შემოდგომაზე უნდა იზრუნოს. უნდა შემოწმდეს თითოეული ოჯახი. ამ დროს თითოეულ ოჯახს ახალი დედა უნდა ჰყავდეს და ჰქონდეს საჭირო რაოდენობის თაფლი მარაგის შესავსებად საჭირო არ არის შაქრის სიროფის მიცემა, რაც ფუტკრის სიცოცხლისუნარიანობაზე ცუდ გავლენას ახდენს, ეს რომ არ მოხდეს, თაფლის მარაგის შესავსებად ვეწევი მომთაბარეობას. ზაფხულში ფუტკარი კურორტ საირმეში მიმყავს, სადაც კარგი პირობებია. გამოზამთრებას რომ ხელი არ შეეშალოს, აუცილებელია გყავდეს ძლიერი ოჯახი, გქონდეს თაფლის მარაგი. საჭიროა დათბუნება, ამ მხრივ შეფერხება არ მქონია.

როგორ ხდება ფუტკრის წამლობა. წამლობა აუცილებელია? რატომ?

–თანამედროვე პირობებში ფუტკრის ოჯახები საჭიროებს გადაუდებელ მკურნალობას, ვინაიდან საფუტკრეში ხშირად ჩნდება ავადმყოფობა, როგორიცაა ევროპული და ამერიკული სიდამპლე. ასევე, წლებია გაჩნდა ფუტკრის ტკიპები. საამისოდ არსებობს ეფექტური პრეპარატები. ტკიპები წოვენ ლიმფას და ამცირებენ ფუტკრების სიცოცხლისუნარიანობას. თუ ფუტკარი ზაფხულში 30-35 დღეს სძლებს, კროატოზით დაინვაზირების შემთხვევაში მისი სიცოცხლისუნარიანობა 10-12 დღემდე მცირდება.

რას ნიშნავს გამოთქმა „ფუტკარი მარჩენალი „აფთიაქარიაო“?

–ფუტკარი ნამდვილად „აფთიაქარია“, რადგან მისი პროდუქტები: თაფლი, დინდგელი, ყვავილის მტვერი, ფუტკრის რძე და სხვა მრავალი განუმეორებელია მკურნალობისთვის.

რჩევას თუ გთხოვენ დამწყები მეფუტკრეები?

–ხშირად ვეხმარები დამწყებ მეფუტკრეებს. განსაკუთრებით მათ, ვინც ჩემგან ფუტკრის ოჯახს შეიძენენ.

დახმარება მთელი ერთი წელი გრძელდება: ვათვალიერებ ფუტკრის ოჯახებს, ვეხმარები ნაკლოვანებათა აღმოფრხვრაში, ვუტარებ მკურნალობას. შემდეგ მეფუტკრე თვითონ აგრძელებს თავის საქმიანობას, მაგრამ, საუბედუროდ, ბევრი ახალბედა მეფუტკრე არ არის დაინტერესებული, არ ზრუნავს შეიძინოს საჭირო ინვენტარი, სამკურნალო პრეპარატები, თავს არიდებს თეორიულ ცოდნას, არ იძენს სათანადო ლიტერატურას... ასეთ შემთხვევაში მეც მეკარგება დახმარების ხალისი და შედეგიც მათთვის სავალალო ხდება. მე კი დახმარების ხელი ყოველთვის ყველასთვის უანგაროდ გამიწევია.

მეფუტკრეობის ბედი მაღელვებს, მინდა მას მეტი ყურადღება მიექცეს. მეტი ენთუზიასტი ჰყავდეს.

ფუტკარი ჩემი და ყველა მეფუტკრის მარჩენალია...

წარმატებები მომავალ საქმიანობაში, ბატონო იური.

ესაუბრა
ნანი კილასონია

ვ ე ლ ი ც ი ნ ა

ბავშვის მხედველობაზე ზრუნვა აუცილებელია



ბავშვის მხედველობაზე ზრუნვა ადრეული ასაკიდან უნდა დავიწყოთ და თუ არსებობს პრობლემა დროული მკურნალობა სასურველ შედეგს მოგვცემს. სამწუხაროდ ხშირად ბავშვები თვალის ამა თუ იმ პათოლოგიით იბადებიან. ასეთი თანდაყოლილი დაავადება შეიძლება იყოს რეტინობლასტომა. ძირითადად ის 3 წლამდე ვლინდება და ბადურა გარსის ავთვისებიან სიმსივნეს წარმოადგენს. ერთერთი პირველი სიმპტომი, რომელიც მშობელმა შეიძლება შენიშნოს, გუგის არეში მოთეთრო–მოყვითალო ნათებაა, ე.წ. კატის თვალი. ამ დროს სასწრაფოდ ბავშვი უნდა მიიყვანონ ოფთალმოლოგთან, გადაუდებელი მკურნალობისთვის. ხშირია აგრეთვე თანდაყოლილი კატარაქტა, რომლის დროული მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა. კატარაქტის დროს მშობელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა მკვეთრი სინათლის თვალის არიდება, სუნების სუსტად დაფიქსირება. ამ დროს ოპერაციული ჩარევა ოთხი თვიდანაა რეკომენდირებული. მცირე ასაკის ბავშვებში გვხვდება აგრეთვე ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი. ბოლო დროს ახლომხედველობის მზარდმა დატვირთვამ, მაგ: კომპიუტერის ხანგრძლივმა გამოყენებამ ბავშვთა ასაკში ახლომხედველობის (მიოპიის) გახშირება გამოიწვია. ამ მანკის აღმოჩენისას ბავშვი სისტემატიურ, ნთვეში ერთხელ მაინც ოფთალმოლოგის მეთვალყურეობას მოითხოვს. შორსმხედველობა ერთერთი გავრცელებული მანკია, რომელმაც არასათანადო მკურნალობის შემთხვევაში შესაძლოა სიელმეს და ე.წ. „ზარმაც თვალს“ დაუდოს საფუძველი. დროული და სათანადო მკურნალობით (სათვალე, კონტაქტური ლინზა, ზოგჯერ შესაძლოა ოპერაციაც) შედეგი სასურველი იქნება. თანდაყოლილი დაავადებებისგან აღსანიშნავია ასტიგმატიზმი, რომელსაც ყველაზე ხშირად რქოვანას სიმრუდე იწვევს. თუ არ მოხდა დროული მკურნალობა, შეიძლება გამოიწვიოს მომავალში სიელმე და მხედველობის მკვეთრი დაქვეითება.

ბავშვის თვალისთვის საუკეთესოა სუფთა ჰაერზე, ტყეში, მწვანე მდელოზე ან ბაღში ყოფნა. რადგან ცნობილია, რომ მწვანე ფერი თვალს ასვენებს. ხანგრძლივი კითხვა, კომპიუტერთან ან ტელევიზორთან დიდხანს ჯდომა ბავშვის თვალს ღლის, ამიტომ დროდადრო უნდა დაისვენოს. ბავშვის საწერ მაგიდაზე განათება არ უნდა იყოს არც სუსტი და არც ძლიერი. თვალისთვის მავნეა აგრეთვე ტრანსპორტში და გულაღმა წოლისას კითხვა.

მედისონის რჩევები თქვენთვის

წყალი ყველაზე გავრცელებული, ნაკლებ შესწავლილი და ყველაზე ამოუცნობი ნივთიერებაა დედამიწაზე. თითქოს ერთი შეხედვით უბრალოდ წყალბადისა და ჟანგბადის შენაერთია, სინამდვილეში კი სიცოცხლის წყარო და დედამიწაზე ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობის საწყისია. წყალი:

•არეგულირებს სხეულის ტემპერატურას;

• ატენიანებს ჰაერს;

• უზრუნველყოფს ჟანგბადისა და საკვები ნივთიერებების ყველა უჯრედამდე მიტანას;

• ეხმარება ორგანიზმს საკვებისგან ენერგიის წარმოქმნაში;

• ეხმარება საჭმლის მომნელებელ ორგანოებს საკვები ნივთიერებების ათვისებაში;

• ფორმას უნარჩუნებს და იცავს ორგანოებს;

• გამოდევნის ორგანიზმიდან წიდასა და ცხოველქმედების შედეგად წარმოქმნილ უვარგის ნივთიერებებს.

წყლის ნორმა 3500გრამია დღეღამეში. რა თქმა უნდა ყველა ადამიანს ეს რაოდენობა ინდივიდუალური აქვს, ამიტომ ნორმალური ნივთიერებათა ცვლის პროცესისათვის საჭიროა იმ რაოდენობის სითხის მიღება, რამდენიც გამოიყოფა ორგანიზმიდან.

საშუალებას აძლევს გადამუშავებულ ნარჩენებს უჯრედებში და სისხლძარღვებში დაგროვდეს და აჩქარებს სხვადასხვა დაავადებების წარმოქმნას.

კაკაო სიცოცხლის სამსახურში

გაიხსენეთ, თუ როგორ გიუმჯობესდებათ გუნება-განწყობილება და უღიმღამო და უფერული გარემოც აღარ გეჩვენებათ მოსაწყენად, სულ პატარა ნატეხი შოკოლადის ჭამის შემდეგ. ასევე დადებითად იმოქმედებს თქვენს კანსა და თმაზე, თუ მათ კვირაში ერთხელ მაინც გაანებივრებთ კაკაოთი მომზადებული ნიღბებით.

ჩვენს დროში ძალიან იშვიათია ხშირი თმა. მაგრამ, თუ მოინდომებთ, ქალბატონებო, შეიძლება გახდეთ ბრწყინვალე თმის პატრონი.

გთავაზობთ რეცეპტს: 1 ჩ/კ კაკაოს ფხვნილს დაასხით 1 ს/კ მდუღარე წყალი და შეათბეთ წყლის ორთქლზე. შემდეგ ამ ფაფას შეურიეთ ათქვეფილი 1 კვერცხის გული და დაამატეთ 1/2 ჩ/ჭ კეფირი. ნიღაბი შეიზილეთ თმის ძირებში, დაიხურეთ პოლიეთილენის ქუდი და შემოიხვიეთ პირსახოცი. 40 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ. მკურნალობის კურსი არანაკლებ 2 თვეა, პროცედურა უნდა ჩაიტაროთ კვირაში 2-ჯერ.

გამშრალი და დახეთქილი ტუჩების სამკურნალოდ 1 ჩ/კ კაკაოს ფხვნილს დაასხით იმდენი მდუღარე წყალი, რომ ფაფა მიიღოთ, შემდეგ გააცხელეთ წყლის ორთქლზე ძალიან ცოტა ცვილი (დანის წვერით), დაამატეთ ჟოჟობას ზეთის 3 წვეთი და შეურიეთ კაკაოს ფაფას. ეს მასა სქლად წაისვით ტუჩებზე და 15 წუთის შემდეგ მოიცილეთ თბილი წყლით.

ცნობისთვის: ნიღბების მოსამზადებლად უნდა გამოიყენოთ ნატურალური კაკაოს ფხვნილი, ყოველგვარი დანამატების გარეშე.

კაკაოს ცხიმი იდეალური თვისებებით ხასიათდება: ის კვებავს, ატენიანებს, არბილებს, ათეთრებს და ტონუსს მატებს კანს.

მწვანე ხახვი ავიტამინოზისგან დაგიცავთ

გაზაფხულზე ყველაზე მეტად ადამიანის ორგანიზმი ავიტამინოზს განიცდის. სპეციალისტების მტკიცებით, სწორედ მარტსა და აპრილში ადამიანი საკვები პროდუქტებისგან ყველაზე ნაკლებ ვიტამინს იღებს. შედეგად ადამიანის ორგანიზმი მოდუნებული და მოთენთილია, ეწყება თმის ცვენა და ემტვერვა ფრჩხილები.

იმისათვის რომ ჩვენი ორგანიზმი გაძლიერდეს, დიეტოლოგები გვირჩევენ რაც შეიძლება მეტი ბოსტნეულის სალათი მივიღოთ. განსაკუთრებით სასარგებლოა მწვანე ხახვი, რომელშიც გაზაფხულზე ყველა სასარგებლო ვიტამინი და მიკროელემენტია თავმოყრილი.

ხახვის გარდა გაზაფხულზე აუცილებელია ასევე კომბოსტოსა და მზესუმზირის მიღება.

პური ქრონიკულ დაღლილობას იწვევს

ცნობილი ამერიკელი კარდიოლოგი უილიამ დევისი ამტკიცებს, რომ თანამედროვე პურფუნთუშეული ადამიანებში ქრონიკულ დაღლილობასა და გონებრივი აქტივობის ჩამორჩენას იწვევს.

სპეციალისტის ზრით, დაღლილობას გენმოდიფიცირებული ცილა იწვევს, რომელსაც ხორბლის სხვადასხვა სახეობა შეიცავს. ის ასევე ახდენს ჭარბი წონის პროვოცირებასაც. დევისის თქმით, თანამედროვე ხორბლის სახეობები სრულიად განსხვავდება 50 წლის წინანდელი მარცვლეულისგან. მისივე მტკიცებით, ხორბლის შემადგენლობაში შედის გლიადინის ცილა, რომელიც ტვინზე ზემოქმედებს და მადას აღვივებს. შედეგად ადამიანი მეტ კალორიას იღებს, ვიდრე სჭირდება და წონაში იმატებს.

დევისის აზრით, უმჯობესია პურ-ფუნთუშეულის მოხმარება მნიშვნელოვნად შევზღუდოთ, ან რაციონიდან საერთოდ ამოვიღოთ.

შიმშილი სიცოცხლის ხანგრძლივობას ორჯერ ზრდის



სიბერის პრობლემებზე მომუშავე აშშ-ს ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერთა კვლევებით დადგინდა, რომ შიმშილი არამარტო გახდომის ეფექტური საშუალებაა, არამედ იგი ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს ზრდის და ორჯერ ახანგრძლივებს სიცოცხლეს. მეცნიერთა თქმით, საგრძნობი შედეგის მისაღებად რეკომენდებულია „განტვირთვის დღეები"; პირველ დღეს მკაცრი დიეტა და მომდევნო დღეს - ნორმალურად კვება.

მსგავსი ექსპერიმენტი თაგვებზე ჩაატარეს. ცხოველები განსაზღვრული დროის მანძილზე მინიმალური კალორიის შემცველი საკვებით იკვებებოდნენ. შედეგად, მათ სხვა თაგვებზე ორჯერ დიდხანს იცხოვრეს. ამასთან, დადგინდა, რომ მოშიმშილე თაგვების ტვინი უკეთესად მუშაობდა.

მსგავსი ტესტი ადამიანებზეც ჩაატარეს. მეცნიერების დასკვნით, ბრეგისეული „განტვირთვის დღეები" გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობას აუმჯობესებს და ტვინს ასაკობრივი ავადმყოფობებისგან იცავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანმა მკაცრ დიეტას სიმსივნესთან საბრძოლველადაც შეიძლება მიმართოს, რადგან იგი ქიმიოთერაპიის ეფექტურობას ზრდის.

კვირაპალის წასაკითხი

„შავი ჭირი“

ალბერ კამიუ



მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი ალბერ კამიუ განეკუთვნება იმ ავტორთა რიცხვს, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს მსოფლიო აზროვნების განვითარებაზე. კამიუ წინააღმდეგობრივი მწერალია. მისი შემოქმედების შესახებ დღესაც კამათობენ, წიგნები ისევ აღელვებს მკითხველს, იდეებს კვლავაც ჰყავს მიმდევრები და სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ის დიდი ალბერ კამიუა, „უცხო,“ „სიზიფეს მითი,“ „კალიგულა,“ „შავი ჭირი,“ „დაცემა,“ „ამბოხებული ადამიანი“– ამ ნაწარმოებებს კარგად იცნობენ კამიუს შემოქმედების მოყვარულნი. მისი თამამი აზრები, წერის არაორდინარული მანერა და ცხოვრების ფილოსოფიური ხედვა სწრაფად გასცდა საფრანგეთის საზღვრებს და მწერალს მსოფლიო აღიარება მოუტანა. 1957 წელს მას ნობელის პრემია მიანიჭეს.

გიყვარდეს კლასიკური ლიტერატურა და არ გქონდეს წაკითხული კამიუ წარმოუდგენელია. გიყვარდეს წიგნი და არ მოგწონდეს კამიუ აბსურდულია. ქართულ ენაზე კამიუს ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები (შავი ჭირი, უცხო, სიზიფის მითი, დაცემა) თარგმნილია.

კამიუს შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია და მრავალ ლიტერატურული თუ ფილოსოფიური პლასტისგან შედგებაა. სამყაროს აბსურდულობის შეგრძნება, ბედნიერების სურვილი და ცხოვრების ტრაგიზმი, ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა და მისი მოხელთების შეუძლებლობა, სიკვდილის შიში და სიცოცხლის უზომო სიყვარული–ეს არის მოკლე ჩამონათვალი იმ საკითხებისა, რომლებზეც დაფიქრება მოუწევს კამიუს გულისხმიერ მკითხველს.

წინამდებარე წერილში ვისაუბრებთ კამიუს „შავი ჭირის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერსონაჟზე-მღვდელ-პანელუზე. აღსანიშნავია, რომ კამიუს პერსონაჟები ხშირად რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ალჟირის ქალაქ ორანს 194. (წელი სიმბოლურია) წელს დიდი უბედურება დაატყდა თავს–შავი ჭირი. შენის გავრცელება მოსახლეობას პირველად მკვდარი ვირთხების მეშვეობით ემცნო, რომლებითაც მოფენილი იყო ქალაქი. ეპიდემიამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სენის წინააღმდეგ დაუღალავად იბრძვის ექიმი ბერნარ რიე (სიზიფის სიმბოლოს რეალიზაცია), რომელსაც სხვებთან ერთად გარკვეული „ცვლილებების“ შემდეგ მხარში უდგება მღვდელი, რომლის მსოფლმხედველობა ძირეულად განსხვავდება რიეს შეხედულებებისაგან სიკვდილ-სიცოცხლეზე.

ჩვენ შეგვიძლია პანელუს მაგალითზე აზრი მივადევნოთ ადამიანის სულისა და გონების მეტამორფოზას, რაც გამოწვეულია სიკვდილ-სიცოცხლესთან უშუალო შეჯახებით.

ეპიდემიის გავრცელების შემდეგ პანელუ ეკლესიის ამბიონიდან მორიგ ქადაგებას წარმოთქვამს: ძმებო, უბედურება გეწვიათ (და არა გვეწვია), თქვენ ეს დაიმსახურეთ (თქვენ და არა ჩვენ. ბავშვის ტანჯვის ნახვის შემდეგ თქვენ შეიცვლება ჩვენით): აქ ისტორიაში, ეს უბედურება პირველად მოგვევლინა, რათა ღვთის მგმობელი დაესაჯა, ფარაონი ეურჩებოდა უფლის ნებას-სურვილს და შავმა ჭირმა იგი მუხლებზე დააჩოქა“. პანელუს სიტყვები მეტად მკაცრია, ის ყველა ცოდვილს შავი ჭირით ემუქრება, ხოლო ქრისტიანულ თანაგრძნობაზე ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია. მისი მორალი პასიურ ქრისტიანობას ქადაგებს-მხოლოდ დათმენა და არა ქმედება. მისი სიტყვების ეფექტის გასაძლიერებლას ეკლესიის ისტორიიდან აბისინიელთა მაგალითიც მოჰყავს, სადაც ჯანმრთელი აბისინიელები შავი ჭირით შეპყრობილებს ეხუტებოდნენ, რათა თვითონაც დაავადებულიყვნენ და ტკივილის დათმენის გზით ამაღლებულიყვნენ.

მამა პანელუ „თავისი“ თვალებით ნახავს სიკვდილთან მებრძოლ ბავშვს, რომელიც სენმა სარეცელს მიაჯაჭვა და ამბობს „ღმერთო გადაარჩინე ეს ბავშვი“. ამ „შეჯახებას“ ამაოდ არ ჩაუვლია, ნელ-ნელა ლღობას იწყებს უმოქმედობის „სიკერპე“. ამის შემდეგ, სანიტარულ რაზმში შედის და არ შორდება ჰოსპიტლებსა და უბნებს, სადაც შავი ჭირი ბობოქრობს.

მეორე ქადაგებაში მღვდლის ტონი შეცვლილია, უფრო მოსიყვარულეა და დაცლილია ფანატიზმისთვის დამახასიათებელი უკიდურესობებისაგან–„ძმანო ჩემნო, ღვთის სიყვარული ერთობ ძნელი სიყვარულია. იგი საკუთარი თავის დავიწყებასა და დამდაბლებას მოითხოვს. მაგრამ მას ძალუძს, განაქარვოს ბავშვის ტანჯვა და სიკვდილი... აი, ის ძნელი გაკვეთილი, თქვენთან ერთად მეც რომ უნდა ვიტვირთო“.

მღვდელი პანელუ შავი ჭირით ავადდება (აბსურდის ფილოსოფიის ელემენტი), მაგრამ უარს ამბობს ექიმის დახმარებაზე და კვდება.

კამიუ „აბსურდის ფილოსოფიის“ გამორჩეული წარმომადგენელია და მღვდლის გონების „სტენოგრამის“ უკეთ გასაგებად რამდენიმე ციტატას მოვიყვან კამიუს ფილოსოფიური ნაწარმოებიდან–„სიზიფის მითი“.

„მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური პრობლემა არსებობს: თვითმკვლელობა. გადაწყვიტო, ეს ცხოვრება ღირს თუ არა იმად, რომ ბოლომდე გალიო, იგივეა, რაც ძირითად ფილოსოფიურ კითხვას გასცე პასუხი“;

„მე ვთვლი, რომ საჭირბოროტო საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრების აზრია“; ადამიანსა და მის ცხოვრებას შორის, მსახიობსა და მის დეკორაციას შორის წამოჭრილი ეს განხეთქილება არის სწორედ აბსურდის გრძნობა“.

კვდება, კვდება ადამიანი, მაგრამ „შავი ჭირის“ ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება, რომ მას შეუძლია ათეულობით წელი ეძინოს ავეჯსა თუ თეთრეულში, მოთმინებით იცადოს ოთახებში... და იქნებ, ერთი დღეც დადგეს, როცა ადამიანთა საუბედუროდ (რიეს პოზიცია) თუ მათ ჭკუის სასწავლებლად (პანელუს პოზიცია), შავი ჭირი კვლავ გამოაღვიძებს ვირთხებს და სასიკვდილოდ გამოაგზავნის „ბედნიერ“ ქალაქში“.

ლევან ღვინჯილია

„პირი და სარჩული“

ქალი იყო უცნაური და მარტოსული. საიქიოს აჩრდილებთან მეგობრობდა, წამდაუწუმ მათ კინკლაობაში ერეოდა, კანტიკუნტად შემორჩენილ ახლობლებს კი საკუთარ სამყაროში, ერთხელ და სამუდამოდ დაგულებულ თავშესაფარში ცხვირსაც არ აყოფინებდა.

დისგან მწირი მემკვიდრეობა ერგო. არც კი იცოდა, რა მოეხერხებინა იმ ხუთი ათასი ფრანკისთვის, რომელმაც სიცოცხლის ბოლოს მოუსწრო. რაღაცაში ხომ უნდა ჩაედო ფული? ბევრი რომ იყოს, გიყვარდეს, ადვილად მოუვლის კაცი. მაგრამ მცირე თანხა, მერწმუნეთ, ძნელი მოსახმარია. ქალმა საკუთარ თავს არ უღალატა–სიკვდილის პირას მისულმა, ბებერ ძვლებზე ზრუნვა გადაწყვიტა. ჰოდა, ამის შესაძლებლობაც მიეცა. ქალაქის სასაფლაოზე ერთ ძველ საფლავს ვადა გაუვიდა და მეპატრონეებმა მდიდრული აკლდამა აააგეს, შესახედად სადა, შავი მარმარილოთი გაწყობილი, ერთი სიტყვით, ნამდვილი განძი და ოთხი ათას ფრანკად დაუთმეს. ქალმა აკლდამა იყიდა. ასეთ სიმდიდრეს არაფერი ემუქრებოდა, არც ბირჟის რყევა, არც პოლიტიკური ქარტეხილები. ლამაზად მომზირალი აკლდამა ახალი პატრონის სხეულს ელოდებოდა. საქმე რომ მოითავა, ქალმა ოქროს დიდი ასოებით საკუთარი სახელი ამოატვიფრინა.

ყოველივე ეს ისეთ სიამოვნებას გვრიდა, რომ საფლავი სულს ერჩივნა. პირველხანობა ყოველდღე მოდიოდა და სამუშაოს აკვირდებოდა, მერე უკვე კვირაობით, ნაშუადღევს იწყო სიარული. სახლიდან მხოლოდ იმიტომ გამოდიოდა, აქ რომ მოსულიყო. მისი ერთადერთი თავშესაქცევიც ეს გახლდათ. ორ საათზე ქალაქის გარეუბნისკენ მიმავალ გზას დააგებოდა, სასაფლაოზე მისული, აკლდამაში შედიოდა, კარს მოიხურავდა და პატარა სალოცავ სკამზე ჩაიმუხლებდა. საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, გონებით სჯიდა, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში და რა შეიძლება ყოფილიყო, გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლებს აერთებდა და ადვილად წვდებოდა განგების იდუმალ ზრახვებს. რაღაც უცნაური მინიშნებით, ერთ დღეს იმასაც მიხვდა, რომ სხვების თვალში დიდი ხნის მკვდარი იყო. წმინდანთა მოხსენიების დღეს, სასაფლაოზე მისულს, აკლდამის კარი იებით მორთული დახვდა. ეტყობა, გულმოწყალე უცნობებმა სათუთი ყურადღება გამოიჩინეს და ყვავილებით სათანადო პატივი მიაგეს უპატრონო მიცვალებულს.

და აი, დღეს ისევ ვუბრუნდები გარდასული ჟამის ამბავს. ჩემი ფანჯრიდან ბაღის კედელს ვხედავ და რამდენიმე რტოს, რომელთა ფოთლებში სინათლე გაბლანდულა. ცოტა მაღლა, ისევ რტოები და ფოთლები; სულ მაღლა კი მზე. ბუნების ზეიმიდან, კრიალა ჰაერიდან, სამყაროში განფენილი მხიარულებიდან ჩემს წილად ფანჯრის თეთრ ფარდებზე დაფენილი ხის რტოების ჩრდილი მერგო. და კიდევ მზის ხუთი სხივი, რომელთაც გამხმარი ბალახის სურნელი ასდით. სიოს ერთი დაქროლვა და ჩრდილები ფარდაზე აცეკვდებიან. საკმარისია ღრუბელი მზეს გადაეფაროს, მერე მყის გაუჩინარდეს და ჩრდილიდან წამს ამოიზიდება მიმოზებით სავსე ლარნაკის თვალისმომჭრელი სიყვითლე. ერთადერთი სხივი და ვგრძნობ, როგორ მავსებს შეუცნობელი და თავბრუდამხვევი სიხარული. იანვრის ნაშუადღევი სამყაროს პირს წარმომიჩენს. მაგრამ ჰაერში ჯერ კიდევ იგრძნობა სიცივე. ირგვლივ ვიწრო შრე მზის სინათლისა, თითით შეეხები და გასრეს. მაგრამ სწორედ ის შესძენს ყოველ საგანს მარადიულ ღიმილს. ვინ ვარ, ან რა ძალმიძს, თუ არა ის, რომ მივუერთდე ფოთლებისა და მზის ანცობას?! დე ვიყო ეს სხივი, რომელშიც ინავლება სიგარეტის ბოლო ან ეს სინაზე, ეს თითქმის უჩინარი ვნება, რომლითაც ჰაერი სუნთქავს. მხოლოდ ამ ნათელში თუ მოვიხვეჭ საკუთარ თავს. თუკი მოვიწადინებ შევიცნო და ვიგემო ეს უნაზესი სიტკბოება, რომელიც ამა ქვეყნის იდუმალებას მიმხელს, სამყაროს წიაღში საკუთარ თავს აღმოვაჩენ. ანუ იმ უკიდურესობამდე დაჭიმულ გრძნობას, რომელიც დეკორაციებს ნაცარტუტად აქცევს და მათი მონობიდან დამიხსნის.

ახლა კი, სხვა რამ სათქმელი! ადამიანები და საფლავები, რომლებსაც ისინი ყიდულობენ. ნება მომეცით გამოვაცალკევო ეს წუთი დროის ქსოვილიდან. ვიღაც ფურცლებს შორის გამხმარ ყვავილს ინახავს, წიგნში გამოკეტავს გახსენებას სეირნობისა, როდესაც პირველად შეიგრძნო სიყვარული. მეც ვსეირნობ და ვგრძნობ ღმერთის ალერსს. წუთისოფელი მოკლეა და დროის დაკარგვა ცოდვაა. „მე ვმოქმედებ“,–ხშირად უთქვამთ. მაგრამ მოქმედებაც დროის ხარჯვაა, თუკი მოქმედებაში განიფანტები. დღეს ყოფნის ჟამია და მე საკუთარი თავის მოხვეჭას ვესწრაფი. კაეშანი კი არა და არ მეშვება, რამეთუ ვხედავ ვერცხლისწყლის მარგალიტივით ელვარე წვეთივით როგორ მისხლტება თითებიდან მთრთოლვარე და მოუხელთებელი წამი. განერიდეთ მათ, ვინც ზურგი აქცია სამყაროს. მე საწუწუნო არა მაქვს რა, რადგანაც თვალნათლივ ვჭვრეტ საკუთარ დაბადებას. სწორედ ამ წამს ჩემი სამეუფო კიდით-კიდემდე ამქვეყნიურია. ეს მზე და ეს ჩრდილები, ეს სიცხე და ჰაერის სიღრმიდან მომდინარე ეს სიცივე: არც კი ვკითხულობ, კვდება თუ არა რაიმე ან იტანჯებიან თუ არა ადამიანები, რადგანაც ყოველივე იმთავითვე ამოვიკითხე ჩემი სარკმელის მინაზე, საიდანაც ჩემს თანაგრძნობას ზეცის სისავსე ეღვრება. შემიძლია განვაცხადო და ვიტყვი კიდეც, რომ მთავარია იყო ადამიანური და უბრალო. არა, მთავარია იყო ჭეშმარიტი და ამით ყოველივე ითქმება, ადამიანურობაც და უბრალოებაც. ხოლო როდის ვარ ჭეშმარიტი, თუ არა სამყაროსთან შერწყმისას? სასურველი იმთავითვე მომეცა–მარადისობა ხელის ერთ გაწვდენაზეა. მეც ხომ ამის იმედი მქონდა?! ახლა მხოლოდ ბედნიერებაზე აღარ ვფიქრობ, ერთი სურვილი მაქვს: ყოველივე გავაცნობიერო. მავანი ჭვრეტს, მავანი საკუთარ საფლავს თხრის: რარიგ დავაშორიშორო ისინი? ადამიანები და მათი აბსურდული ყოფა? მაგრამ, აი ზეცის ღიმილი. სინათლე ძალას იკრებს, მალე ზაფხულიც მოვა. აი კიდევ თვალები და ხმა იმათი, ვინც სიყვარულს ითხოვს. მთელი არსებით სამყაროს ვარ მიერთებული, სიბრალულისა და მადლიერების გრძნობა კი ადამიანებს მაახლოებს. არ ძალმიძს არჩევანი გავაკეთო სამყაროს პირსა და სარჩულს შორის, არც ძალიან მიზიდავს არჩევანი. ადამიანები უფრთხიან ნათელხილვას და ირონიას. აკი ამბობენ: „ეს იმის დასტურია, რომ კეთილი არ ხართ“. ვერაფერი მტკიცებაა. რა თქმა უნდა, თუკი ვინმე იტყვის, რომ უზნეოა, ვიფიქრებ, ასეთს აუცილებლად ზნეობის მოპოვება ჭირდება-მეთქი; თუკი სხვა განაცხადებს, რომ გონებას ათვალწუნებით უყურებს, ვხვდები, რომ საკუთარი ეჭვების ატანა უჭირს. არ მიყვარს, როდესაც ცრუობენ. ვაჟკაცობა ის არის, რომ თამამად უსწორო თვალი სინათლესაც და სიკვდილსაც. თუ არა და რარიგ ავხსნა ის კავშირი, რომელსაც სიცოცხლის ამ ყოვლისმშთანთქმელი სიყვარულისგან იდუმალ უიმედობამდე მივყავართ? საგანთა წიაღში დავანებულ ირონიას თუ მივაყურადებ, ის სულ უფრო და უფრო ნათლად წარმომიჩნდება და მალულად ჩამიკრავს მოჭუტულ, ელვარე თვალს: „იცხოვრე ისე, თითქოს“ რამდენი არ ვეცადე, ამაზე დიდი სიბრძნე ვერა და ვერ მოვიხვეჭე.

და მაინც დარწმუნებული არ ვარ საკუთარ სიმართლეში. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა იმ ქალზე ვფიქრობ, რომლის ამბავი ვიღაცამ მიამბო. ქალი კვდებოდა და სულის განტევებამდე ქალიშვილმა საკუბოვე ტანსაცმელში გამოაწყო. ეტყობა საქმე წინ წაიგდო და გაიადვილა, რადგანაც კიდურებს ჯერ კიდევ შერჩენოდა მოქნილობა. საოცარი კია, როგორ ვცხოვრობთ მუდამ მოჩქარე ადამიანების გვერდით?!

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ელიზაშვილმა

რელიგია

გილოცავთ, დიდი მარხვა დაიწყო!

როგორ დავიცვათ დიდი მარხვა

ჩვეულებრივ დიდ მარხვაში უნდა შევიკავოთ თავი ხორცისა და ხორცის პროდუქტებისაგან, ყველისა და რძის პროდუქტებისაგან, კვერცხისა და თევზეულისაგან. არ არის დაშვებული ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების დალევაც. კარგი იქნება თუ ვისარგებლებთ დიდი მარხვის საერთო შემართებით და დავთმობთ სიგარეტს და სხვა მავნე ჩვევებს.

დამწყებთათვის სასურველია, რომ მთელი მარხვის განმავლობაში არ მიიღონ ხორცი და ხორცის პროდუქტები, თავი შეიკავონ ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელებისაგან. რძის პროდუქტები და კვერცხი შეუძლიათ მიიღონ გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, რომელთა სრული მარხვით დაცვა კარგი იქნება.

ვინც პირველად აპირებს მარხვის შენახვას და ვისაც სურს მარხვის გამკაცრება, უნდა მიმართონ მოძღვარს რჩევა-დარიგებისა და ლოცვა-კურთხევისათვის.

თუ ავადმყოფობისა და სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლია სრული მარხვის შენახვა, მიმართოს მოძღვარს და ის შეურჩევს მარხვის უვნებელ ზომას.

დიდი მარხვის პირველი შვიდეული განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა.

ჩვეულებრივ საკვები უზეთოდ მზადდება და მცირდება მისი მიღების რაოდენობა.

დამწყებთათვის საკმარისია სრულად დაიცვან მარხვა, ყოველგვარი გამკაცრების გარეშე.

დიდი მარხვის პირველი შვიდეულის ორშაბათიდან ხუთშაბათამდე დიდი მწუხრის შემდეგ იკითხება წმ. ანდრია კრიტელის სინანულის კანონი. დიდი მარხვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია. სხვა სადაგ დღეებში წირვა არ ტარდება.

დიდმარხვის I შაბათს აღინიშნება ხსენება წმ. დიდმოწამე თეოდორე ტირონისა. მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის პირველ შაბათს აღასრულებს წმიდა თეოდორე ტირონისადმი სავედრებელ კანონს და აკურთხებს კოლიოს (წანდილს). ამ დღეს სრულდება იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის I კვირას აღინიშნება მართლმადიდებლობის ზეიმი, დღე როდესაც საბოლოოდ გაიმარჯვა მართლმადიდებლობამ და დაიგმო ხატმებრძოლობა. სრულდება ბასილი დიდის წირვა.

შაბათსა და კვირას მკაცრი მარხვა არ შეიძლება. დასაშვებია ცოტაოდენი ღვინის შესმა.

დიდი მარხვის II, III და IV შაბათი მიცვალებულთა ხსენების დღეებია. იკურთხება საკურთხი. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის II კვირას ვიხსენიებთ წმიდა გრიგოლ პალამას, თესალონიკელ ეპისკოპოსს. სრულდება ბასილი დიდის წირვა.

III კვირას ჯვარის თაყვანისცემის კვირა ეწოდება. ამ დღეს შუა ტაძარში დაესვენება ცხოველსმყოფელი ჯვარი და მისი საპატივცემო წირვა-ლოცვა აღევლინება. სრულდება წმ. ბასილი დიდის წირვა.

25 მარტს (ახალი სტილით 7 აპრილს) აღინიშნება ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. ხსნილია თევზითა და ღვინით.

დიდი მარხვის IV კვირას არის ხსენება ღირსისა მამისა იოანე კიბისაღმწერელისა, რომელმაც აღწერა სათნოებათა კიბე აღმავალი ზეცად. სრულდება წმიდა ბასილი დიდის წირვა.

დიდი მარხვის V შაბათს დაუჯდომლის შაბათი ეწოდება. ამ დღეს იკითხება ღვთისმშობლის დაუჯდომელი გალობა, რომელიც დაწესებულია მოსახსენებლად კონსტანტინეპოლში აღვლენილი საყოველთაო და გულმხურვალე ლოცვისა, რომელიც შეისმინა დედამ ღვთისა და მისი შუამდგომლობით შეწყდა ღვთის რისხვა. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის V კვირას ვიხსენებთ ღირს დედა მარიამ მეგვიპტელს, რომელიც თავდაპირველად უწმინდური და თავაშვებული ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ ღვთის მადლითა და ღვთისმშობლის შემწეობით ირწმუნა ღმერთი და ერთ-ერთი ყველაზე დიდი წმიდანი გახდა. სრულდება წმიდა ბასილი დიდის წირვა.

VI შაბათს ლაზარეს შაბათი ჰქვია. ამ დღეს ვდღესასწაულობთ მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას (წაიკითხეთ იოანეს სახარების მე-11 თავი). ტარდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილია თევზითა და ღვინით.

VI კვირა – ბზობაა, ანუ იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში. ტაძრებში იკურთხება ბზა. ხსნილია თევზითა და ღვინით. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდ მარხვას მოსდევს ვნების შვიდეული. მარხვა კვლავ უფრო მკაცრი ხდება, განსაკუთრებით დიდ პარასკევს – იესო ქრისტეს ვნებათა ხსენების დღეს.

დიდი ორშაბათიდან დიდ ხუთშაბათამდე ტაძარში იკითხება ოთხივე სახარება მთლიანად. ორშაბათიდან ოთხშაბათამდე სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია, დიდ ხუთშაბათს წმიდა ბასილი დიდის წირვა. ხუთშაბათის შემდეგ აღარ ითქმის ეფრემ ასურის ლოცვა.

ზეთის კურთხევა ანუ შვიდგზის ზეთის ცხება

დიდი მარხვის პერიოდში ეკლესიებში სრულდება ზეთის კურთხევის საიდუმლო ანუ „შვიდგზის ზეთისცხება“, როგორც მას დღეს უწოდებენ.

ეს საიდუმლო, ისევე როგორც ახალი აღთქმის დანარჩენი საიდუმლოებანი, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაგვიწესა, როდესაც მისი ლოცვა-კურთხევით საქადაგებლად წარგზავნილი მოციქულები „სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს“ (მარკოზი 6, 13).

დღეს ეს საიდუმლო სრულდება ეკლესიებში დიდი მარხვის პერიოდში ან მძიმე ავადმყოფთან სახლში, როდესაც ამისი აუცილებლობაა, წლის ნებისმიერ დროს. ამასთან, თუ ავადმყოფთან საიდუმლოს ჩატარებისას ჩვენი მთავარი მიზანი სნეულების დათრგუნვაა, ეკლესიაში მას მორწმუნეები ძირითადად ცოდვათა მიტევების გამო ესწრებიან; თუმცაღა, ცხადია, ორივე შემთხვევაში საიდუმლოს ორივე ზემოქმედება ძალაშია, რამეთუ სნეულებისაგან სრული განკურნება ცოდვათა მიტევების გარეშე, ადამიანისთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

სასურველია, რომ მორწმუნემ ზეთის კურთხევაში მონაწილეობა ყოველწლიურად მიიღოს, რადგან, თუ აღსარებისას ადამიანს ის ცოდვები მიეტევება, რომლებიც აღიარა და მოინანია, გადმოცემის თანახმად ზეთის კურთხევისას, დავიწყებული ცოდვებიც ეპატიება.

სხვადასხვა ეკლესიებში ზეთის კურთხევა დიდი მარხვის სხვადასხვა კვირაში სრულდება, რაც საშუალებას აძლევს მორწმუნეს გამორიცხოს შემთხვევითი, დამაბრკოლებელი მიზეზი და არ დაიკლდეს ამ დიდი მადლის მომნიჭებელ საიდუმლოს.

დიდ პარასკევს დღის 2 საათზე იესო ქრისტეს გარდამოხსნის მოსახსენიებლად ტაძრებში ხდება გარდამოხსნის გადმოსვენება. ამ დღეს განსაკუთრებით მძიმეა მარხვა.

დიდ შაბათს დილაადრიან ხდება გარდამოხსნის შემოტარება ტაძრის გარშემო. დიდი შაბათი–ერთადერთი შაბათია წლის განმავლობაში, როდესაც დაშვებულია მკაცრი მარხვა. ვინც საზიარებლად ემზადება, აღარ უნდა ჭამოს და არც დალიოს არაფერი საღამოს 8 საათის შემდეგ.

ყველიერის შვიდეულით დაწყებული ბრწყინვალე შვიდეულის ბოლომდე არ შეიძლება ჯვრისწერა, თავისთავად გასაგებია, რომ ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ პერიოდში არ შეიძლება შეუღლება, რადგან ღმერთი არ აკურთხებს მარხვაში დამყარებულ ცოლ-ქმრულ კავშირს.

თუ ვინმე შემთხვევით დაარღვევს მარხვას, ნუ მიატოვებს მას, არამედ მოინანიოს ცოდვა და კვლავ განაგრძოს შემართებითა და წინდახედულობით.

ღმერთმა დალოცოს თქვენი შემართება.

იეჰოვას მოწმეები ხობში სამეფო დარბაზს აშენებენ...

ხობში მართლმადიდებელმა მრევლმა მეგრული ლიტერატურის დარიგება და სამეფო დარბაზის მშენებლობა გააპროტესტა.მრევლი მოძღვრებთან ერთად მშენებლობის წინ შეიკრიბა და სამშვიდობო პარაკლისი აღავლინა.

მრევლი მიმართავს ხელისუფლებას, რომ შეზღუდვები დაუწესდეს იეჰოვას მოწმეებს და აეკრძალოთ მათ გარდა თავიანთი დარბაზებისა, სხვა ადგილებში ქადაგება, რადგან მათი ქმედებები ანტისახელწიფოებრივია.

აქციის მონაწილეების განცხადებით, იეჰოვას მოწმეებს შემოტანილი აქვთ მეგრულ ენაზე დაწერილი ჟურნალი რომლისთვისაც სახელად დაურქმევიათ „ურჩქილით ღორონთს დო იცხოვრით მარადიულო“, რაც ქართულ ენაზე ნიშნავს-„უსმინეთ ღმერთს და იცხოვრეთ მარადიულად“. ადგილობრივები ჟურნალის მეგრულ ენაზე გამოცემას სეპარატიზმის გაღვივებად აფასებენ და თვლიან, რომ ეს დაუშვებელია და სასწრაფოდ მის აღიკვეთას მოითხოვენ. ისინი ამგვარი საქციელით სეპარატიზმის გაღვივებას უწყობენ ხელს.პარაკლისის და აქციის პარალელურად სამშენებლო სამუშაოები გრძელდება.

თუ რას ფიქრობს საზოგადოება მომხდართან დაკავშირებით ჩვენი გამოკითხვიდან შეიტყობთ.

ხათუნა ხორავა:

ერთი წელია ც. დადიანიას ქუჩაზე აღმართულ ჯვართან მამა კირიონი (დარასელია) სისტემატურად (უკვე ყოველდღე) იხდის ყოვლადწმინდა ღ თისმშობლის პარაკლისს საქართველოს მთლიანობისა და ძლიერებისათვის. მიუხედავად ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის და უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის დიდი მეუფის ილია II-ის უდიდესი ძალისხმევისა, საუბედუროდ, ჩვენს ქვეყანაში და ახლა უკვე ჩვენს ქალაქშიც ჩნდებიან სხადასხვა სექტანტური ჯგუფები, რომლებიც ძალიან აქტიურად აწარმოებენ თავიანთი ე.წ ,,სამლოცველოების „ მშენებლობას ქალაქის ცენტრში. მართლმადიდებელი მრევლისათვის, რომ არაფერი ვთქვათ აღმსარებლობით სხვადასხვაობაზე, განსაკუთრებით შემაშფოთებელია მათი თითქოს „უწყინარი“ ქმედება, რომელიც გამოიხატა მეგრულ ენაზე დაბეჭდილი ბროშურების გავრცელების მცდელობაში. ქართული ენის სიდიადეს არაერთი უმსგავსოება ახსოვს და „გადაუხარშავს“, მაგრამ ამ ფაქტში სეპარატიზმის აშკარა ნიშნები იკვეთება და ჩვენმა ქვეყანამ ამ ,,სენის“ ყველაზე კატასტროფული შედეგის ფასი კარგად იცის. მრევლის საერთო სურვილით და აზრი თ, სასიცოცხლოდ აუცილებელია კანონმა დაარეგულიროს სექტანტების უფლებები და მოქმედების არეალი, მით უფრო, რომ ისინი, როგორც მოქალაქეები თავიანთ „რწმენის კოდექსს“ ამოფარებულნი, უგულებეყოფენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებს-საქართვლოს სამხედრო შეიარაღებულ ძალებში სამსახურისა და არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

ლალი ჯედია:

ჩვენი სარწმუნოება წამებული ქრისტეს რწმენაა,ჩვენი რჯულია ამ სარწმუნოებაში, ჩვენი გენეტიკური კოდია ჩადებული, ამას ვერ იყიდი და თუ გაყიდე დაკარგავ ყველაფერს, რასაც ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის სულიერი მრწამსი ქვია და რომელიც ჩვენმა წინაპრებმა სისხლის ფასად დღემდე მოგვიტანეს, როგორ უნდა დავივიწყოთ ასი ათასი მოწამე ქართველი, რომელ ქვეყანას ან რომელ ერს ჰყავდა ამდენი მოწამეები როგორც საქართველოს და ვაი, რომ თვალსა და ხელს შუა ვკარგავთ. არა, ამას უფალი არ დაუშვებს. გვაიწყდება თუ სხვებს გონიათ ასე, რომ ამ მეომარ ერს ზურგს უკან, ედგა განდეგილთა ის რაზმი, რომლებიც სადღაც უბადურ ადგილებში ხელაპყრობილნი, გულმხურვალედ, ღამისთევით ლოცვით ავედრებდნენ მორწმუნე ერს. გაძლიერებას ითხოვდნენ. დღესაც, გრძელდება მუხლმოდრეკილი ლოცვები მღვიმეებში საქართველოს ჭეშმარიტი სარწმუნოების გადასარჩენად. ახლაც, დარწმუნებული ვარ ჩემს გვერდით ბევრი დადგება საქართველოს ღირსებისა და ჭეშმარიტი რწმენის გადასარჩენად.

გვერდი მოამზადა ნინო გერგაია

ეპოლეტვა

მამა კირილეს (დარასელია)!

თქვენ და თქვენს ლამაზ ოჯახს გილოცავთ მერვე სიხარულის—სიდედნიას მოვლინებას. ღმერთმა გაგაძლიერთ!

დაე, პატარა სასახელო, ჯანმრთელი, ნიჭიერი და თქვენსავით ღვთის მადიდებელი გაზრდილიყოს.

თქვენს დიდ ოჯახს კიდევ მრავალი ბისა და ასულის სიხარული სწვეოდეს.

თქვენი ნათლული ანასტასია (ტატა) გუკია.

„გაზაფხულის სალამოს ეძღვნება...“

უჩვეულო ფუსფუსია..

მზესავით კაშკაშებს პატარების თვალები...

სიყვარული და სიხარული იფრქვევა...

ჩიტებივით გალობენ ბავშვები და თვალები ბებიებისკენ გაურბით.

დარბაზი სავსეა ყვავილებით...

სცენა გამოირჩევა ორიგინალობით...

ხობის №2 საბავშვო ბაღში უჩვეულოდ ლამაზი „გაზაფხულია“...

მართალია, აქ ყოველთვის განსხვავებული ღონისძიებები ტარდება. მაგრამ განსაკუთრებულია დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი. გაზაფხულის ამ ლამაზ დღეს ბაღს აღსაზრდელების ბებიები სტუმრობდნენ, ზეიმი სულ სხვა ამპლუაში ვიხილეთ.

დაიწყო პრეზენტაცია...

„ბებიების კლუბი“ (ეს არაჩვეულებრივი იდეა ქალბატონ ნარგიზა ტუღუშს ეკუთვნის), სცენარში კარგად იყო გააზრებული ბებიების როლი, მათი დაუღალავი შრომა და სიყვარული შვილიშვილებისადმი.

როგორ გაირბინა წლებმა...

ასე დაიწყო იდეის ავტორმა...

–ქართულ ოჯახში ყოველთვის ფასობდა ოჯახური ღირებულებები, ტრადიციები, წესჩვეულებები. უფროსუმცროსობა, ბებია-ბაბუები, რომლებიც ბავშვების უტყუარი სარკეა, მათი სიყვარული უსაზღვროა, ამიტომაც გადავწყვიტეთ შეგვექმნა „ბებიების კლუბი“ მოგვეწვიეთ თქვენ, ჩემო ძვირფასო ქალბატონებო, ბებიებო, თქვენ, აღმზრდელ დედაზე ნაკლები წვლილი არ მიგიძღვით შვილიშვილების აღზრდაში, თქვენ ხართ ადამიანები, რომლებიც დიდ ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებთ. გილოცავთ ქალთა დღესასწაულს, მიყვარხართ.“–თქვა მან.

საოცარი და ამაღელვებელი იყო ეს ყველაფერი, არ შემიძლია ემოციისა და განცდის გარეშე დავიწყო ის, რაც თვალით ვიხილე და გულით განვიცადე (თვალწინ დამიდგა ჩემი „კეკლუცი“ ბებია) ბებიების გაბრწყინებული, ცრემლიანი თვალები, ღიმილი, სიხარული, პატივისცემა, მოკრძალება, დაფასება და იმედი იმის, რომ მათ შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს კარგად ეცოდინებათ „ვისი გორისანი არიან“.

ღონისძიებას ალამაზებდა გასართობ–თეატრალიზებული სანახაობა. ულერდა სიმღერები, ცოცხლდებოდა სხვადასხვა პერსონაჟები („წითელქუდა“, „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“) ღონისძიებამ კულმინაციას მიღწია, მასში ჩაერთვნენ ბებიები, დედები, აღსაზრდელები და მთელი ბაღის კოლექტივი.

„კისკისებდა“ დარბაზი...

ცეკვას სიმღერა ცვლიდა, სიმღერას ლექსები, დამსახურებულმა პედაგოგმა უხუცესმა ბებიამ ნელი ბერაიამ შვილთაშვილს ლექსი მიუძღვნა.

კონკურსს ჟიური აფასებდა და შედეგებიც სასიამოვნო იყო...

ყველაზე ელეგანტური ბებია–ნარგიზა ტუღუში;

ბებიის როლის საუკეთესო შესრულებისათვის–ნატო ხურცია;

მხიარული კურიოზებისათვის–მადონა ალანია;

სამსახიობო როლისთვის–მაყვალა ქირია;

საუკეთესო ბებიისათვის–მარინა ახალაია;

მათ გადაეცათ სერთიფიკატები. ეს ნამდვილად ერთმანეთის მოფერების საღამო გახლდათ.

ბანკ „კრისტალის“ თანამშრომლებმა იების კონებით, დიდი სიყვარულით მიულოცეს გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაული ბაღის ყველა თანამშრომელსა და მოწვეულ სტუმრებს.

დედის ტკბილი „ნანათი“ გემშვიდობებით ჩემო მეგობრებო, კოლეგებო. ამ შვენიერებასთან ზიარებისათვის, იმ დაუვიწყარი დღისთვის, რომელიც თქვენ მათ აჩუქეთ მადლობას გიხდით ყველა მოწვეული სტუმარი.

მადლობა ქალბატონ ნარგიზა ტუღუშს. ეს დღე დასტური იყო პოეტის წინასწარმეტყველური სიტყვებისა:

„ჩემთვის დღესავით არის
ნათელი,
რას იტყვის ჩემზე
შთამომავლობა.“

ნაირა ბერაია

სულთათანა

სასაფლაო

(მამის— რამის კემულარიას ხსოვნას)

ჩაძირული სიჩუმეში სივრცე,
სივრცის კედლებს შეხეთქია ყომი,
სიუკუნის ხეთი ფესვის ძირის
მოხეულივად დაცვარული ნამი.
მინის გული ულვლდება ღვინით,
თაფლის სინთეს ჩამოღვენთავს ხსოვნა,
მამის სიფლავს შეჩვეია ცრემლი,
აქ ძნელია რიღაც დროის პოვნა...
სასიფლაო ბოლო სიდგეგრს მოჰგავს,
ეზეს მოსცაცა გაზაფხულის ქნარი,
სიფლავის ქვის მიყინული სონთქვი,
გინვლილი გზა, სახელი და გვარი.
სიგეხეურზე ხცონავს ცოდვა-მიდელი,
სივრცის კედლებს დასცყობია ყომის,
აქ ძნელია რიღაც დროის პოვნა,
სიფლავის ქვის ვეგერები მამის...

ნინო კემულარია

კუსა კეკუა

ჩემო ლამაზო შვილო, ექვსი ჯოჯოხეთური წელი მთავრდება 2 აპრილს, რაც შენმა უმანკო სულმა მარადისობის კარი შეაღო და უფლის სავანეში დაიდო ბინა.

როგორ მენატრება შვილო შენი ხმა, შენი ღიმილი, შენი ტკბილი დაძახება „დედა“, როგორ მინდა ხელი შეგახო და ჩემი ნაფერები სხეული დაგიკოცნო.

ვაი, რომ დედაშენი მაგას ვეღარ ეღირსება.

ენატრები შვილო შენს ვაჟკაცებს ბექას და თემუკას. შენს საყვარელ მეუღლეს, რომელიც ატარებს იმ მძიმე ტვირთს, რასაც შენი არ დავიწყების, სიყვარულის და პატივისცემის, ბექასა და თემუკაზე ზრუნვის ადამიანური მოვალეობის პირნათლად შესრულება ქვია.

მწარეა სიცოცხლე უშენოდ, ვერ წარმოიდგენ, რას უძლებს შენი უბედური დედა. 1 ოქტომბერი ხომ შენი დაბადების დღეა, 36 წელი გისრულდება, ისღა დამრჩენია შენს სპეტაკ სულს დაბადების დღე მეექვსედ მივულოცო, დაგინთო 36 წმინდა სანთელი. გჯეროდეს შვილო, რომ სანთელი ყოველთვის იციმციმებს შენს საფლავზე, სანამ შენი უბედური დედა ცოცხალია.

მამით ობოლს, დედის ამარას,
გვიჭირს ბნელეთში გზის გაკვალვა,
სიზმარში მაინც გამოგვეცხადე,
და დაგვარიგე, რა ვქნათ ამჯერად.

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

ბექა და თემუკა, მეუღლე თეა
და უბედური დედა ნურა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრნობს მადონა და ბორის ჯიქიებს მამისა და სიმამრის

პოლიკარპე ქარჩავას

გარდაცვალების გამო.

მერი და გულად აბრამიები ოჯახებით იუწყებიან დის

კლარა აბრამიას

გარდაცვალებას.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და უფროს მეგობარს მერი აბრამიას დის, ნიჭიერი და დამსახურებული ჟურნალისტის

კლარა აბრამიას

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

ბაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

ბაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ბაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.